ალია
N99(3029) 1 ივლისი 2014 წ ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
გამოდის 1995 წლიდან
WWW.ALIA.GE

## რა ეღირება ახალი სანომრე ნიშნები




# გიგი უგულავას ამ კვირაში დაიჭერენო...

ვალერი გელბახიანი:

## „უგულავას დაკავებამდე რამდენიმე პიროვნებას დააპატიმრებენ“

„ასეთივე მეთოდი ამუშავდება გიგა ბოკერიას მიმართ, შეაგროვებენ მტკიცებულებებს, დააკავებენ რამდენიმე პიროვნებას, რათა აღარ დადგეს გიგა ბოკერიას დაჭერის პრობლემა“



## „გამოძიება ახვლედიანსაც დაიბარებს“

კობა ბექაური:

„იქ დადიოდა დედამისი, გიული ალასანია, საკაშვილის მდივანი ცაცა და სხვები. მთელი „შაიკა“ იყო დაკავშირებული ამ საქმესთან“

# რა შეზღუდვებს უწესებს ასოცირების ხელშეკრულება მოსამართლეებს?

# რატომ არ ითვალისწინებს „ოცნების“ ხელისუფლება პატრიარქის მოწოდებებს?



# გარდაცვლილი პატიმრის დედა: „ახლა ჯერ შვილს ვგლოვობ, მერე მივალ და დავწვავ იქაურობას“

**რუსთავის მეექვსე დაწესებულებაში პატიმარი გარდაიცვალა. მზია მერაბიშვილს შვილი სახლში „ალიასთან“ ინტერვიუმდე ცოტა ხნით ადრე, მიუსვენეს და უთხრეს, რომ ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა. დედა ამ ვერსიას არ იზიარებს, რის გამოც ყველას სთხოვს, მივიდნენ და ნახონ მისი შვილის ცხედარი რა მდგომარეობაშიცაა და დარწმუნდებიან, რომ არანაირი ექსპერტიზა არ სჭირდება იმის დადგენას, რომ მამუკა წამების შედეგად არის გარდაცვლილი.**

– ნაცემი, ნაწამები და გაუბედურებულია ჩემი შვილი. ორი დღის წინ ვესაუბრე, ცოცხალი და საღ-სალამათი იყო, რამ მოკლა, როგორ გარდაიცვალა თავისით? 36 წლის 2-მეტრიანი ბიჭი სახლში მომიტანეს ციხიდან. არაფერი არ ვიცი, რა მოხდა ციხეში, არავინ არაფერს მეუბნება, არც იმის შესაძლებლობა მაქვს, რომ ვიკითხო და გავიგო, რა მოხდა ციხეში. არავინ არაფერი იცის და პასუხს არ მაძლევენ.

**— ვინმესთან დაპირისპირებული ხომ არ იყო?**

– არ იყო ასეთი, არა, პირიქით, თითით საჩვენებელი იყო ყოველთვის, ციხეში ყველას უყვარდა, საუბრიდან ორ დღეში შვილი დამიჩეხეს, დამიჩეჩქვეს და გამაუბედურეს, სულ დასისხლიანებულია?

**— რისთვის იხდიდა სასჯელს თქვენი შვილი?**

– წამლის გამო იყო დაკავებული, მერე ყველაფერი ერთად „შეტენეს“ და 9 წელი მისცეს, 4 წელი მიდიოდა, ამნისტია შეეხო და უნდა გამოსულიყო ციხიდან შემოდგომაზე.

**— როგორი ხასიათი ჰქონდა, შეიძლება, რამე უსიამოვნება ადმინისტრაციასთან მოსვლოდა?**

– წლებია, ჩემი შვილი ციხეში იჯდა, დასამალი არაფერი მაქვს. ჩემი შვილი ნარკომანი არ იყო, წამალი „შეტენეს“ და ციხეში გაუშვეს. ბავშვი ძალიან ლმობიერი, ალალი და სამართლიანი იყო, მთელი ციხე ხელის გულზე ატარებდა, ყველა პატიმარი პატივს სცემდა, ძალიან დამთმობი და კეთილი იყო, მოჩხუბარი და აგრესიული არ ყოფილა. რა მოხდა პარასკევს, არ ვიცი, პასუხს ვითხოვ. ნეიროქირურგი უნდა შემეყვანა მასთან, ძლივს დავითანხმე ადმინისტრაცია ამაზე, ცუდად იყო, რა ჰქონდა ვინმესთან საჩხუბარი, რომ მერე ეცემათ? საკნიდან არც კი გამოდიოდა, იწვა.

**— რომ გელაპარაკათ, რამე უცნაურად ხომ არ მოგეჩვენათ მის საუბარში, რამე პრობლემა ხომ არ ჰქონდა?**

– არაფერი აბსოლუტურად, მომიკითხა, როგორ ხარო, ორშაბათს დავრეკავ, მამას ტელეფონის ნომერი მომეცი, უნდა დავურეკოო. მამამისი რუსეთშია, ტელეფონის ნომერი შეცვალა და მასთან დაკავშირება უნდოდა. დღეს (30 ივნისი) 12 საათზე უნდა დაერეკა და ამის მაგივრად, სახლში მომისვენეს. ჩვენი საუბრის მერე რა მოხდა, ამის გაგება მინდა და პასუხს ვითხოვ. იქ მე არ მიშვებენ, სიმართლეს ვინ მეტყვის, ვინ ამიხსნის, რატომ მომიკლეს შვილი, რა მიზეზით? ვინც ნახავს ჩემს შვილს, ყველა დარწმუნდება, როგორი დაჩეჩქვილი და ნაწამებია, რომ მომიყვანეს, არ გავწმინდე, რომ ყველამ ნახოს, რა მდგომარეობაშიცაა. არ მომკვდარა ჩემი შვილი, არა, ის მოკლეს. სააკაშვილის დრო გამოვიარეთ და მაშინ გადამირჩა შვილი, ახლა მომიკლეს, გესმით?



**— თანასაკნელები რას ამბობენ?**

– ყველაფრის დადგენას ვაპირებ, როგორც კი ჩემს შვილს დავასაფლავებ, მაგას ბოლომდე მივყვები, გავიგებ, იქ რა მოხდა, მაგრამ ქვეყანამ რატომ არ უნდა გაიგოს, რა ხდება ციხეებში?

**— თქვენი ვერსია რა არის, რა შეიძლებოდა მომხდარიყო?**

– არაფერი ვიცი, რომ ვიცოდე, სხვანაირად ვილაპარაკებდი, „კამერაში“ რომ არ მოხდებოდა და ბიჭებთან არ იჩხუბებდა, ეს ზუსტად ვიცი, გამორიცხულია. კარგი ურთიერთობა ჰქონდა მათთან, რადგან შედარებით პატარები იყვნენ მასზე. ვისთან რა მოუხდა, ეგ არ ვიცი. ახლა ჯერ შვილს ვგლოვობ, მერე მივალ და დავწვავ იქაურობას. თუ დამნაშავე იყო, წლები დაემატებინათ, რატომ მიკლავდნენ, რატომ გამაუბედურეს... ვითხოვ ექსპერტიზის პასუხს, რადგან ვიცი, ბავშვი მოკლულია. თავისით როგორ გარდაიცვალა? დასისხლიანებულია და ჭრილობები როგორ ექნებოდა თავისით გარდაცვლილს, იდაყვები დაჭეჭყილი აქვს, ყურები დალურჯებული და დასისხლიანებული, კისერი და ბეჭებიც დასისხლიანებული, სკოჩით ჰყავდათ დაბმული, როგორც ჩანს, გადანაჭერი ეტყობა ხელებზე და ფეხებზე, რას ერჩოდნენ? რომელი „მაყურებელი“ ეს იყო, საწოლს იყო მიჯაჭვული, ჯოხით დადიოდა, ეს რა საფრთხე უნდა ყოფილიყო ვინმესთვის? ნაოპერაციები ფეხი ჰქონდა. მთელი წელია, ექიმებს დავდევ, რომ მასთან შემეყვანა, ძლივს შევიყვანე ტრავმატოლოგი და ნეიროქირურგი, მას შემდეგ, რაც არავინ ყური არ მათხოვა და არ შეიყვანეს ექიმი. გლდანში იჯდა რუსთავამდე, ისე სცემეს, განგრენა დაემართა და ძლივს გადავარჩინე. ახლა სულ მომიკლეს, არ ვაპატიებ ჩემი შვილის მოკვლას მათ, არა!..

**„ალია“ სასჯელაღსრულების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, თაია მახარაშვილს დაუკავშირდა. მან გვითხრა, რომ მამუკა მერაბიშვილის გარდაცვალების ფაქტის შესახებ სამინისტროში არაფერი იციან, ამიტომ დრო ითხოვა ვითარების გასარკვევად, მოგვიანებით კი განგვიცხადა: „მსჯავრდადებული სასჯელს იხდიდა ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის გამო. მას ჰქონდა ქრონიკული დაავადება — ტოქსიკური ნეიროპათია, რომელიც წარსულში, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების გამო ჩამოუყალიბდა. პატიმრის გარდაცვალება არ ყოფილა გამოწვეული ძალადობით. სიკვდილის ზუსტ მიზეზს დაადგენს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. თანავუგრძნობთ გარდაცვლილის ოჯახს...“**

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რა ეღირება ახალი სანომრე ნიშნები




შს სამინისტროს მომსახურების სააგენტომ ახალი ტიპის სახელმწიფო სანომრე ნიშნებზე მომსახურების საფასური დაადგინა, კანონპროექტში შეტანილი ცვლილებები განსახილველად პარლამენტს უკვე გადაეგზავნა.

სანომრე ნიშნებზე დადგენილია შემდეგი საფასურები:

სახელმწიფო სანომრე ნიშნის ერთი წყვილის გაცემა, აგრეთვე დაკარგული ან დაზიანებული სახელმწიფო სანომრე ნიშნის აღდგენა – 35 ლარი; ერთი წყვილის გაცემა, რომლის ლათინური შრიფტის სამივე ასო იდენტურია, ხოლო ციფრების კომბინაცია იცვლება 001-დან 009-ის ჩათვლით – 600 ლარი; სანომრე ნიშანი, რომლის ლათინური შრიფტის სამივე ასო იდენტურია, ხოლო ციფრების კომბინაციაა: 111, 222, 333, 444, 555, 666, 777, 888, 999 – 800 ლარი; სანომრე ნიშანი, რომლის ლათინური შრიფტის სამივე ასო იდენტურია, ხოლო ციფრების კომბინაციაა: 100, 200, 300, 400, 500, 600, 700, 800, 900 – 400 ლარი; სანომრე ნიშანი, რომლის ლათინური შრიფტის სამი ასოდან ორი იდენტურია, ხოლო ციფრების კომბინაცია იცვლება 001-დან 009-ის ჩათვლით – 500 ლარი; ლათინური შრიფტის სამი ასოდან ორი იდენტურია, ხოლო ციფრების კომბინაციაა: 111, 222, 333, 444, 555, 666, 777, 888, 999 – 700 ლარი; ლათინური შრიფტის სამი ასოდან ორი იდენტურია, ხოლო ციფრების კომბინაციაა: 100, 200, 300, 400, 500, 600, 700, 800, 900 – 300 ლარი; ლათინური შრიფტის სამივე ასო არაიდენტურია, ხოლო ციფრების კომბინაციაა: 001, 002, 003, 004, 005, 006, 007, 008, 009 – 200 ლარი; ლათინური შრიფტის სამივე ასო არაიდენტურია, ხოლო ციფრების კომბინაციაა: 111, 222, 333, 444, 555, 666, 777, 888, 999 – 250 ლარი; ლათინური შრიფტის სამივე ასო არაიდენტურია, ხოლო ციფრების კომბინაციაა: 100, 200, 300, 400, 500, 600, 700, 800, 900 – 150 ლარი; ლათინური შრიფტი შედგება პირისთვის სასურველ ასოთა კომბინაციისგან – 10 000 ლარი;

საქართველოში აკრედიტებული უცხო ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობების, საკონსულო დაწესებულებების, დიპლომატიური მისიების, აგრეთვე, დიპლომატიური თანამდებობის პირებისა და მათთან გათანაბრებული პირების მფლობელობაში არსებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციისას (დროებითი რეგისტრაციისას) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დიპლომატიური სტატუსის სახელმწიფო სანომრე ნიშნის ერთი წყვილის გაცემა, აგრეთვე, აღნიშნული ტიპის დაკარგული ან დაზიანებული სანომრე ნიშნის აღდგენა – 80 ლარი;

სახელმწიფო სანომრე ნიშნის ერთი წყვილის გაცემა, რომლის ლათინური შრიფტის სამივე ასო იდენტურია, ხოლო ციფრები შედგება პირისთვის სასურველი კომბინაციისგან – 350 ლარი; სანომრე ნიშანი, რომლის ლათინური შრიფტის სამი ასოდან ორი იდენტურია, ხოლო ციფრები შედგება პირისათვის სასურველი კომბინაციისგან – 300 ლარი; ლათინური შრიფტის სამივე ასო არაიდენტურია, ხოლო ციფრები შედგება პირისთვის სასურველი კომბინაციისაგან – 250 ლარი;

სატრანზიტო სანომრე ნიშნის ერთი წყვილის გაცემა – 30 ლარი;

მოტოციკლის, მისაბმელის, სასოფლო-სამეურნეო მანქანის ან სპეციალიზებული თვითმავალი მანქანის სახელმწიფო სანომრე ნიშნის გაცემა – 25 ლარი;

მისაბმელის, სასოფლო-სამეურნეო მანქანის ან სპეციალიზებული თვითმავალი მანქანის დადგენილი ნიმუშის ერთი სახელმწიფო სანომრე ნიშნის გაცემა, რომლის ციფრების კომბინაციაა 001, 002, 003, 004, 005, 006, 007, 008, 009, 100, 200, 300, 400, 500, 600, 700, 800, 900, 111, 222, 333, 444, 555, 666, 777, 888 ან 999, ან რომლის ლათინური შრიფტის ორი ასო ან/და სამი ციფრი შეადგენს პირისთვის სასურველ კომბინაციას, – 200 ლარი;

მექანიკური სატრანსპორტო საშუალებათა გასხვისების შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, პირი სანომრე ნიშანს აბარებს სარეგისტრაციო სამსახურს.

სარეგისტრაციო სამსახური ვალდებულია, ჩაბარებული სანომრე ნიშანი, რომელზეც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შსს-ს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისთვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად დაწესებულია საფასური არანაკლებ 100 ლარის ოდენობით, შეინახოს არა უმეტეს 6 თვის ვადით და ამ ვადაში დადგენილი წესით უზრუნველყოს მისი იმავე პირზე უსასყიდლოდ გადაცემა. (ნიუპოსტი)

## „ქართული ოცნება“ განმეორებითი კენჭისყრის შედეგებს ეხმაურება



კოალიციის საარჩევნო შტაბის პრესსპიკერი გიორგი გეგეჭკორი აცხადებს, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, კოალიციის მაჟორიტარობის კანდიდატები, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ერთი ოლქის გარდა, ამჯერადაც დამაჯერებლად ლიდერობენ.

„29 ივნისს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში გაიმართა განმეორებითი კენჭისყრა. ეს ის ოლქებია, რომლებშიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, 15 ივნისს ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნების შედეგები ბათილად იქნა ცნობილი.

გვინდა საქართველოს მოსახლეობას მივულოცოთ არჩევნების მშვიდ და დემოკრატიულ გარემოში ჩატარება. სერიოზული ხარვეზები, რომლებიც გავლენას მოახდენდა არჩევნების შედეგებზე, კენჭისყრის მიმდინარეობისას არ დაფიქსირებულა.

წინასწარი მონაცემებით, როგორც მოსალოდნელი იყო, კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატები, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ამჯერადაც დამაჯერებლად ლიდერობენ უკლებლივ ყველა ოლქში, გარდა ერთისა“, – განაცხადა გიორგი გეგეჭკორმა და განმეორებით კენჭისყრაში მონაწილე ყველა პირს მადლობა გადაუხადა.

გეგეჭკორი დარწმუნებულია, რომ არჩევნების მეორე ტურში მათი მხარდამჭერები კიდევ უფრო გააქტიურდებიან და „ქართული ოცნება“ დამაჯერებელ გამარჯვებას მოიპოვებს. (ნიუპოსტი)

საკაშვილ-კუბლაშვილის ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილებებმა ჩვენთვის ფარსად, ტაკიმასხრობად აქცია სამართლიანობის პროცესი. როგორი მართალიც არ უნდა იყო, სასამართლო სპექტაკლებში მონაწილეობის შედეგი ისევ უსამართლობა იქნება, აზრს კარგავს ამ ჯამბაზობაში, თუ უარესი არა – აღვირახსნილ, უზნეო, ამორალურ შურისმაძიებელ სპექტაკლებში მონაწილეობა. გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“, პროტესტის ნიშნად, აცილებას აძლევენ სასამართლო ხელისუფლებას და არანაირ მონაწილეობას აღარ მიიღებენ საკაშვილ-კუბლაშვილის უზნეო, უსამართლო ე.წ. სასამართლო პროცესში, სანამ სასამართლო სისტემა არ შეიცვლება და არ გაიწმინდება უზნეო მონა მოსამართლეებისგან, რადგან ახლა აზრი არ აქვს, რა მტკიცებულებებს დადებ და ვის წარადგენ მოწმეებად პროცესზე. „ოცნების“ ხელისუფლება საზოგადოებას დაჰპირდა, რომ არჩევნების შემდეგ დაამთავრებდა „ნაცმოძრაობას“. დაიწყეთ ეს ბოროტების იმ ბუდიდან, რომელსაც „ნაციონალი“ საკაშვილ-კუბლაშვილის სასამართლო ჰქვია.

„ალია“-„ქრონიკა“



# რა შეზღუდვებს უწესებს ასოცირების ხელშეკრულება მოსამართლეებს?

**საბერძნეთის ნაკრების ფეხბურთელებმა სახელმწიფოსგან პრემიების მიღებაზე უარი განაცხადეს... ჩვენ საბერძნეთისა და ბერძენი ხალხისთვის ვთამაშობთ, ამ საქმეში პრემია არ გვჭირდებაო. ერთი „წონიანი“ ფიგურა მეუბნება, საბერძნეთი ევროკავშირის წევრია და ამიტომო. ასეთი ფიგურა თანამდებობაზე არ უნდა გააჩერო, მას უკვე მენტალიტეტი აქვს აღრეული. საქართველო არ არის ევროკავშირის წევრი, მაგრამ რაკი ასოცირების ხელშეკრულებაზე მოვაწერეთ ხელი, ბევრ ჩინოვნიკს დაუწესდება შეზღუდვები.**

„ალიას“ ესაუბრება ყოფილი მოსამართლე, ადვოკატი **შალვა ხაჭაპურიძე:**

— ჩვენ 25 წლის განმავლობაში ვლაპარაკობდით, რომ გვინდოდა დემოკრატია, გვინდოდა ადამიანის უფლებების დაცვა, დამოუკიდებელი სასამართლო და ასე შემდეგ. თუმცა პასუხად ვიღებდით იმას, რომ ხან „რკინის კაცი“ გვყავდა შინაგან საქმეთა მინისტრად, ხან საქართველოს „ხერხემალი“ იყო შინაგან საქმეთა მინისტრი და **ფაქტობრივად, ყველაფერი ტრიალებდა ამ უწყების ირგვლივ. ერთი სამინისტრო რომ ვერ შეასრულებდა სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციას, ეს ნათელი იყო, მაგრამ მაინც ვცხოვრობდით დიდი უკანონობის ეპოქაში.**

მოდით, ვთქვათ პირდაპირ, ჩვენ კი ვიცით, რაც ხდებოდა და ხდება სასამართლოებში, მაგრამ რა მდგომარეობაში იყო კანონი? ავიღოთ 55-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, გამოდის პროკურორი პროცესზე და ამბობს, მავანს უნდა შეეფარდოს პატიმრობა. მოსამართლე ხედავს, რომ პიროვნება არსად არ არის გამქცევი, არ აქვს ცუდი წარსული და შესაძლებელია, მიესაჯოს პირობითი, მაგრამ ამას ვერ აკეთებს. საკაშვილი მიხვდა, ლადო ჭანტურიას დროის კანონით რომ ემუშავა, ამდენ ხალხს ვერ გაუშვებდა ციხეში, მოსამართლე იქნებოდა მართლა დამოუკიდებელი და პირობითი სასჯელი საერთოდ გააუქმა. ამის ნაცვლად შემოიღო საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც მთელი საქმე იყო პროკურორის ხელში და რასაც უნდოდა, იმას გიზამდა. თუ პროკურორს დილით „ბორჯომი“ ჰქონდა დალეული და კაი ხასიათზე იყო, გაგიფორმებდა საპროცესოს, თუ არა და გაგამწესებდა ციხეში. ამ საშინელებას წერტილი დაესვა, როცა ასოცირების ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი. ახლა დაახლოებით 300-მდე კანონია ხელშეკრულებასთან შესაბამისობაში მოსაყვანი. ახლა შევხედოთ ჩვენს კონსტიტუციას, სადაც სიტყვასიტყვით წერია: „თუ საერთაშორისო ხელშეკრულებას ეწინააღმდეგება კანონი, მაშინ უპირატესობა ენიჭება საერთაშორისო ხელშეკრულებას“. ესე იგი, ჩემთვის და ყველასთვის სახელმძღვანელო დოკუმენტი არის ასოცირების ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად, წერტილი ესმება მონოპოლიებს – გამოდის ერთი მოსამართლე, გამოდის მეორე, ყველა მიკერძოებულია, გამოაქვთ უკანონო გადაწყვეტილებები, მაგრამ ახლა წინ მიდევს ევროპული სტანდარტი, არ დაემორჩილებიან ამას? წერილები წავა 28 სახელმწიფოში და ევროპარლამენტში. ა, ბატონო, ვალდებულება აქვს აღებული ხელისუფლებას და არ სრულდება. ამას გავაკეთებ მე, ამას გააკეთებთ თქვენ და ამას გააკეთებს არასამთავრობო სექტორი. ხელისუფლებას კი გაუხარდა, ხელშეკრულებაზე ხელი მოვაწერეთო, მაგრამ დადგა ჟამი წესრიგისა და კანონმორჩილებისა.

ახლა აღარ არის საქმე ისე, რომელიღაცა მინისტრს რომ მოუნდება და პრემიას გამოიწერს. რეგულაციები თითქოს შეიმუშავეს, მაგრამ სწორედ ეს ხელშეკრულება გვეუბნება გერმანიის მაგალითზე: „თანამდებობის პირს შეუძლია პრემია აიღოს ერთჯერადად, მხოლოდ ხელფასის 10 პროცენტი და მხოლოდ წელიწადში ერთხელ. ესეც უნდა იყოს დასაბუთებული, ისე არა, ვისაც გაუხარდება და რამდენიც გაუხარდება. ჩვენ ამავე დროს მოვისმინეთ ერთ-ერთი მინისტრის უპასუხისმგებლო გამოსვლა – პრემიები თუ არ გავეცით, საჯარო სამსახური უინტერესო იქნებაო. შე კაი დედმამიშვილო, არჩევნების პერიოდში გეთქვა ასე, თუ ვინმე ხმას მოგცემდა, იმასაც ვნახავდი!

**— ბერძენი ფეხბურთელების გადაწყვეტილებამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ეგ ჩვენი**

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*



„გამოდის ერთი მოსამართლე, გამოდის მეორე, ყველა მიკერძოებულია, გამოაქვთ უკანონო გადაწყვეტილებები, მაგრამ ახლა წინ მიდევს ევროპული სტანდარტი, არ დაემორჩილებიან ამას? წერილები წავა 28 სახელმწიფოში და ევროპარლამენტში. ა, ბატონო, ვალდებულება აქვს აღებული ხელისუფლებას და არ სრულდება“

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „უგულავას გაუგებარი, მუდმივი დევნა არასწორად მიდის“



ექსპერტი გია ხუხაშვილი გიგი უგულავას საგამოძიებო სამსახურში მორიგ დაბარებას ეხმაურება:

„ის, რომ გიგი უგულავა, კრიმინალური წარსულის მქონე ადამიანია, ისევე, როგორც მთელი „ნაციონალური მოძრაობა“, ეს ყველამ ვიცით. მე ვფიქრობ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, გარკვეული აზრით, მსხვერპლიც არის სისტემის. მე არ მინდა იგივე დაემართოს ნებისმიერ შემდგომ ხელისუფლებას. იქმნება სისტემა, რომელსაც მძევლად აჰყავს ყველა თავისი მოთამაშე და ასეთი მძევალია თავის მიერ შექმნილი სისტემის გიგი უგულავა. პოლიტიკური ტაქტიკის თვალსაზრისით ვიტყოდი, რომ გიგი უგულავას გაუგებარი, მუდმივი დევნა არასწორად მიდის. ვფიქრობ, რომ აქამდე საკმაოდ დიდი საფუძველი იყო, რომ გიგი უგულავა უკვე ციხეში მჯდარიყო. იმდენად უცნაურად მიდის ეს ყველაფერი და იმდენად პოზიტიური პოლიტიკური შედეგი მოაქვს ამ ყველაფერს „ნაციონალური მოძრაობისთვის“, უკვე ეჭვებში ვვარდები, შეთქმულების თეორია მოდის წინა პლანზე. გაუგებარია, მეორე ტურის წინ ასეთი ტიპის ესკალაცია გიგი უგულავას მისამართით, მით უმეტეს, როცა ეს ესკალაცია არაფრით არ მთავრდება. ის, რომ ის დამნაშავეა, ქვეყნის მოსახლეობას ვერდიქტი დიდი ხანია, გამოტანილი აქვს. ადამიანს რომ იჭერ, მაგრამ თან ვერ იჭერ და ის გმირის სახით გამოდის, ეს ყველაფერი „ნაციონალური მოძრაობის“ წისქვილზე ასხამს წყალს. ამ ყველაფერში სერიოზული ხარვეზებია, ინტელექტუალური სიმწირეც კი შეიმჩნევა“, – განაცხადა ხუხაშვილმა. (ნიუპოსტი)

## „მთავრობამ მორატორიუმი დაარღვია“



საპარლამენტო უმცირესობის წევრი ზურაბ ჯაფარიძე თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებით აცხადებს:

„გიგი უგულავა მიემგზავრებოდა, მას ჰქონდა საქმიანი ვიზიტი, ევროსაბჭოს ეგიდით იმართება სპეციალური სხდომა, რომელიც ეძღვნება ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებს. გიგი უგულავა უნდა ყოფილიყო დელეგაციის ხელმძღვანელი, ამიტომ ჩვენ განვიხილავთ ამ დაბარებას, როგორც ხელის შეშლის მცდელობას, რომ ეს ვიზიტი არ შედგეს, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, ცხადია, ეს არის ზეწოლის გაგრძელება. მოგეხსენებათ, გიგი უგულავა არის საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელი და ჩვენ ვართ ინტენსიურ მზადებაში მეორე ტურისთვის.

ძალიან ცალსახაა, რომ დაირღვა ეს მორატორიუმი, რომელიც თვითონ გამოაცხადა მთავრობამ და გულისხმობდა იმას, რომ დაკითხვებზე დაბარებები შეწყვეტილიყო არჩევნების დამთავრებამდე, არჩევნები ჯერ არ არის დამთავრებულია, ამიტომ ჩვენ ვითხოვთ, რომ გაიმართოს უწყებათაშორისი კომისიის სხდომა, სადაც მოხდება ამ საკითხის განხილვა“, – განაცხადა ჯაფარიძემ. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

**მინისტრი ვერ არის თავის მატორზე.**

– ბიჭოოო... ერთმა ჩინოვნიკმა მითხრა ორი დღის წინ, ჩემთან მეგობრობს: აუ, აზრი აღარ აქვს საჯარო სამსახურში მუშაობასო. რა იყო, რაშია საქმე-მეთქი? აბა, ყოველთვიურად პრემია თუ არ მივიღე, რა აზრი აქვსო? მე ვუთხარი, ჩემი ბავშვობის მეგობარი ხარ, მაგრამ მაგ თანამდებობაზე ნამდვილად არ უნდა იყო, გადი ქუჩაში, ნახე, ხალხი რა დღეშია-მეთქი.

**— შალვა, შენ მონოპოლიები ახსენე, რანაირად დარეგულირდება ეს საკითხი?**

– აგერ, გაჰკივის „საქართველოს ფოსტის" დირექტორი, გინდათ თუ არა, მე უნდა ვიყო შემომტანიც და გამტანიცო. ასოცირების ხელშეკრულების 54-ე მუხლში პირდაპირ წერია: „მონოპოლიები აკრძალულია ნებისმიერ ბიზნეს-სფეროში", დაესვა წერტილი. ჩვენ ვერ მივხვდით 25 წლის განმავლობაში და ვიღაცამ ხომ უნდა გვითხრას? ყველას აქვს ასეთი აზროვნება: ჯერ ჩემს სახლს ავაშენებ, ბატონებო, მერე მივხედავ სახელმწიფოს.

ყველაზე მთავარი ყურადღება ასოცირების ხელშეკრულებაში ეთმობა სასამართლოებს. კონსტიტუციაშიც და სისხლის სამართლის კოდექსშიც გვიწერია ასეთი სიტყვები: „მხარეები თანაბარნი არიან". მე როგორც ვიცი, კანონპროექტი უკვე მზადაა, რომლის მიხედვითაც, აღდგება დაზარალებულის ინსტიტუტი, რაც „ნაციონალებმა" გააუქმეს და რაც მთავარია, მოსამართლეს დაუბრუნდება მოსამართლეობა. სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლში შედის ცვლილება, ანუ აღდგება პირობითი სასჯელი, აღარ იქნება – საპროცესო გამიფორმე, არ გაგიფორმებ და ასე შემდეგ.

**— საპროცესო გარიგება საერთოდ უქმდება?**

– საპროცესო დარჩება რაღაც დოზით, მაგრამ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში იქნება გამოყენებული.

**— შალვა, სისტემა და მენტალიტეტი იგივე რჩება, ამას რა ასოცირების ხელშეკრულება უშველის? კონკრეტულად გეტყვი, მოსამართლე თამაზ ურთმელიძეს რომელი ხელშეკრულება გადააკეთებს?**

– არიან მოსამართლეები, რომლებსაც შეუძლიათ, საქმიანობა გააგრძელონ. არიან ანგაჟირებული მოსამართლეები, რომლებიც ამ სისტემას დატოვებენ. კაცმა რომ „პლანი" მოწია და პირველივე ჯერზე 14 წელს უსჯი, რა ამბავია? მიუსაჯე პირობითი, თუ კიდევ გაიმეორა, მერე დასაჯე მკაცრად. ამ დროს სულხან მოლაშვილის საქმე დღემდე არ არის განხილული. ასე რომ, ხელისუფლებას დიდი თავის ტკივილი აქვს ატეხილი.

**— ხელისუფლება ამბობს, რომ სასამართლო მისგან თავისუფალია, მაგრამ ამ დროს კანონმდებლობაა ისეთი, ზეპირი განცხადება არაფერს ნიშნავს, ხომ?**

– ეგ არის ბლეფი, თუ კანონს არ შეცვლი, დამოუკიდებელი რანაირად იქნება? არც ერთ ხელისუფალსა და არც ერთ ჩინოვნიკს ასოცირების ხელშეკრულება არ აძლევს უფლებას, საქმე თავის ნებაზე აკეთოს. არ გინდა? არ შეასრულებ ყველა მოთხოვნას? მაშინ 3 წლის შემდეგ აღარ გაგიგრძელებენ ხელშეკრულებას და მეყოლე ვარდივით. გინდა, რუსეთთან წადი, გინდა – ჩინეთთან. ეს არ არის მარტივი დოკუმენტი და ყველაფერი პირდაპირ არ არის ჩაწერილი, მაგრამ ღარიბაშვილის მთავრობისთვის სერიოზული გამოწვევაა – მე პრემია მინდა, უნდა გამოვიწერო, სასამართლო სააკაშვილისა იყო, ახლა ჩვენი იქნება... ასეთი ლაპარაკი დამთავრდა. პარლამენტს აქვს უზარმაზარი სამუშაო ჩასატარებელი.

**— არა მგონია, ამ პარლამენტმა ბევრი მოასწროს. მით უმეტეს, სულ იძახიან, დავიღალეთო.**

– მე არ ვიცი, რით დაიღალნენ, მაგრამ მაგათ ერთი რამე უნდა იცოდნენ, ძალიან ბევრია დღეს ჩასაფრებული. შეიძლება ზოგი კეთილგანწყობილია, მაგრამ ამას მაინც ჩასაფრება ჰქვია. ახლა გამოდიან და ამბობენ, ნარკოტიკების მოხმარება არ უნდა იყოს დასჯადიო. ასოცირების ხელშეკრულებაში წერია, რომ არ უნდა იყოს დასჯადი, მოიყვანე კანონი შესაბამისობაში, ან დაუსაბუთე ევროპარლამენტს, რატომ არის აქ სხვანაირად, რამ განაპირობა? მაგალითად, გაეროს კონვენცია გეუბნება, „სუბოტექსი" ნარკოტიკული საშუალება არ არისო. ამიტომაც იყიდება ევროპაში ეს პრეპარატი აფთიაქში, რეცეპტს გამოგიწერს ექიმი და იყიდი. ზოგი „პახმელიაზე" სვამს დილით. შენ უნდა დაასაბუთო, რატომ არის ჩვენს ქვეყანაში „სუბოტექსი" ნარკოტიკული საშუალება?




**„ახლა გამოდიან და ამბობენ, ნარკოტიკების მოხმარება არ უნდა იყოს დასჯადიო. ასოცირების ხელშეკრულებაში წერია, რომ არ უნდა იყოს დასჯადი, მოიყვანე კანონი შესაბამისობაში, ან დაუსაბუთე ევროპარლამენტს, რატომ არის აქ სხვანაირად, რამ განაპირობა? მაგალითად, გაეროს კონვენცია გეუბნება, „სუბოტექსი" ნარკოტიკული საშუალება არ არისო"**



**„უგულავა ბიძინა ივანიშვილს ლანძღავს უკანასკნელი სიტყვებით, ქალივით წყევლის ღარიბაშვილს. ამას დავამატოთ გივია თარგამაძის უაზრო განცხადებები, იგივე ბოკერიას საქციელი. ჩათვალე, რომ ასოცირების ხელშეკრულების შემდეგ „ნაცმოძრაობას" სასამართლო ხელიდან უვარდება, ათამდე ტვინნაღრძობი კაცი დარჩათ და მაგათაც მიეხედებათ"**

ჩვენ ვიყავით 25-წლიან წუმპეში, მანამდე იყო 70-წლიანი წუმპე. ორიოდე სიტყვით მინდა ვთქვა გიგი უგულავას შესახებაც, ეს ადამიანი 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ ამაზრზენად იქცევა, ჯერ საჯარო ბიბლიოთეკასთან მოაწყო პროვოკაციები, ალბათ, გახსოვს... ახლა ბიძინა ივანიშვილს ლანძღავს უკანასკნელი სიტყვებით, ქალივით წყევლის ღარიბაშვილს. ამას დავამატოთ გივია თარგამაძის უაზრო განცხადებები, იგივე ბოკერიას საქციელი. ჩათვალე, რომ ასოცირების ხელშეკრულების შემდეგ „ნაცმოძრაობას" სასამართლო ხელიდან უვარდება, ათამდე ტვინნაღრძობი კაცი დარჩათ და მაგათაც მიეხედებათ. ახლა იძახიან, ეს ხელშეკრულება კარგია, მაგრამ ჩვენი ეკონომიკა ჩამოიშალა, ძალიან ცუდ დღეში ვართო. სააკაშვილი ვარდების რევოლუციით რომ არ მოთხლიშინებულიყო, ჩვენ გაცილებით ადრე მოვაწერდით ხელს ასოცირებაზე. არა, ჩაუხტა შევარდნაძეს, იმანაც გადააბარა და წავიდა სახლში. სხვათა შორის, ამ ხელშეკრულების მიხედვით, „ნაცმოძრაობას" ძალიან მძიმე დღეები უდგება – ერთი საპარლამენტო არჩევნებიღა დარჩა და ეგრევე გაქრება რადარიდან საბოლოოდ. მოვა არჩევნების დრო და ერთი როგორი პირველი ოპოზიციური ძალაა, მაგასაც დავინახავთ!

»» გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 1-ლი ივლისიდან საბავშვო ბაღებში აღსაზრდელების რეგისტრაცია იწყება



2014-2015 სასწავლო წლისთვის, საბავშვო ბაღებში აღსაზრდელების რეგისტრაცია 1-ლი ივლისიდან, 09:00 საათზე დაიწყება. 1-ლი ივლისიდან 5 ივლისამდე რეგისტრირდებიან იმ სოციალურად დაუცველი ოჯახების 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ 200 000-ს აღემატება, ასევე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები და „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს" ფილიალის ჩვილ ბავშვთა სახლის ბენეფიციარები (შესაბამისი უფლებამოსილების მქონე დაწესებულებების), მოწერილობის საფუძველზე. 5 ივლისიდან 10 ივლისამდე რეგისტრირდებიან უკვე დარეგისტრირებული ბავშვების დედმამიშვილები. 10 ივლისიდან კი რეგისტრირდება უწყვეტად ყველა ბავშვი.

ახალი 2014-2015 სასწავლო-სააღმზრდელო წლისათვის, ბაგა-ბაღებში ელექტრონული რეგისტრაცია შესაძლებელია ბავშვებისთვის, რომლებიც 2014 წლის 8 სექტემბრისთვის იქნებიან 2 წლის, ასევე, ბავშვები, რომლებსაც 8 სექტემბრისთვის არ შესრულებიათ 6 წელი.

სააგენტომ რეგისტრაცია გამოაცხადა ივლისში მომუშავე საზაფხულო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელების დასარეგისტრირებლად. საზაფხულო ბაგა-ბაღებში 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა ელექტრონული რეგისტრაცია 15 ივნისს დაიწყო. რამდენიმე მათგანში თავისუფალი ადგილები უკვე აღარ არის. (რეპორტიორი)

## ბილდტს ბაქრაძისა და ბოკერიას ნახვა გაუხარდა



საქართველოში სამუშაო ვიზიტად მყოფმა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა თბილისში გამართულ შეხვედრებს სოციალურ ქსელ „ტვიტერში" კომენტარი მიუძღვნა: „დღევანდელი დღე თბილისში საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრით დაიწყო. კარგი იყო, რომ ასევე, ვნახე ჩემი ძველი მეგობრები დავით ბაქრაძე და გიგა ბოკერია. დემოკრატიული ოპოზიცია არის მნიშვნელოვანი ნაწილი ნებისმიერი სიცოცხლისუნარიანი დემოკრატიისა. თბილად მივულოცე საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა", – წერს ბილდტი. (ნიუპოსტი)

## მარგველაშვილი პოლონეთის პრეზიდენტს ტელეფონით ესაუბრა



საქართველოსა და პოლონეთის პრეზიდენტებს შორის სატელეფონო საუბარი შედგა. ბრონისლავ კომაროვსკიმ მარგველაშვილს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება მიულოცა და აღნიშნა, რომ პოლონეთი დაინტერესებულია, მაქსიმალურად მოკლე ვადაში მოხდეს ამ ხელშეკრულების იმპლემენტაცია. საქართველოს პირველ პირს მან რატიფიკაციის პროცესში პოლონეთის მხარდაჭერა აღუთქვა და იმედი გამოთქვა, რომ ეს პროცესი სხვა ქვეყნებშიც სწრაფად წარიმართება. თავის მხრივ, საქართველოს პრეზიდენტმა აქტიური მხარდაჭერისთვის მას მადლობა გადაუხადა. ორი ქვეყნის ლიდერებმა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ პერიოდზეც ისაუბრეს და ხაზგასმით აღნიშნეს საქართველოს, როგორც ევროკავშირის ასოცირებული წევრი ქვეყნის როლი რეგიონის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში. მარგველაშვილმა და კომაროვსკიმ საერთაშორისო ფორუმების ფორმატით შეხვედრის შესაძლებლობებზეც იმსჯელეს. ქვეყნის პირველმა პირმა პოლონელი კოლეგა საქართველოში მოიწვია. (ნიუპოსტი)

## ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა უნდა შემცირდეს

იუსტიციის მინისტრი მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა უნდა შემცირდეს.



„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" რომ მოძველებულია და ცვლილებებს საჭიროებს, ეს ბევრჯერ ითქვა. ჩვენც ვმუშაობთ ამაზე, ის ინიციატივა რომელიც ემსახურება პატიმრობის ვადის შემცირებას ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში, მხოლოდ და მხოლოდ მოსაწონია. თუმცა, მე პირადად, მთლიანად ადმინისტრაციული ფენომენის გაუქმებას არ ვემხრობი, რადგან დიდი იმედი მაქვს, რომ ერთ დღეს საქართველო შეძლებს ნარკომანები, რომლებიც მხოლოდ მომხმარებლები არიან, არა სისხლის სამართლის, არამედ მხოლოდ ადმინისტრაციული წესით დაისაჯოს, რაც მათ საშუალებას მისცემს, რომ ციხეში კი არ ისხდნენ წლები, არამედ იმკურნალონ და დაადგნენ გამოსწორების გზას. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა უნდა შემცირდეს, მაგრამ თავად ადმინისტრაციული პატიმრობა ამ ეტაპზე საქართველოში არ უნდა გაუქმდეს", – განაცხადა წულუკიანმა. (ნიუპოსტი)

# გიგი უგულავას ამ კვირაში დაიჭერენ?



გიგი უგულავას იჭერენ... თითქოს აქ არც ახალია არაფერი და არც ძალიან ძველი. საქმე ისაა, რომ 30 ივნისს უფლებაშეჩერებულ თბილისის მერს ბრალი წარედგინა. კერძოდ, გიგი უგულავამ ცენტრალური ბიუჯეტის განზრახ იგნორირებით, კანონთან შეუსაბამო ბრძანების საფუძველზე „სიტი პარკისთვის“ დამატებითი შეღავათების დაწესებით კომპანიის სასარგებლოდ მთლიანობაში გაფლანგა სახელმწიფოს კუთვნილი 1 086 718 ლარი. სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის I და I ნაწილებით გრძელდება გამოძიება, რაც ითვალისწინებს 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. საქმეს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო ნაწილი იძიებს.

„ალია“ დეტალების დასაზუსტებლად დაუკავშირდა ფინანსთა სამინისტროს პრეს-სამსახურს კითხვით, – რამდენად მყარია მტკიცებულება? პასუხი ცალსახაა, რომ მტკიცება 99%-ით მყარია, საქმესთან დაკავშირებით იკითხებიან მოწმეები, უგულავას საქმე დღეს უკვე პროკურატურას გადაეცემა და პროკურატურა ამ კვირაში შუამდგომლობით შევა სასამართლოში, რომ უგულავას შეეფარდოს აღმკვეთი ღონისძიება. რა თქმა უნდა, ის არ იქნება გირაო და პროკურატურა პირდაპირ მოითხოვს უგულავას პატიმრობას. მოხდება თუ არა ამ კვირაში უგულავას დაკავება? ამასთან დაკავშირებით, პროკურატურის კულუარებიდან გვატყობინებენ, რომ უგულავას წინააღმდეგ საქმე იმდენად მომწიფებულია და მტკიცებულებები იმდენად მყარია, რომ სასამართლო უგულავას დაპატიმრების საკითხს გვერდს ვერ აუვლის.

მკითხველს შევახსენებთ, რომ პროკურატურა მანამდე გიგი უგულავას 48 მილიონი ლარის გაფლანგვას ედავებოდა. მთელი ამ დროის მანძილზე უგულავა მის წინააღმდეგ აღძრულ საქმეებს პოლიტიკურ დევნად და ფარსად აფასებდა. იგი აქტიურად დადიოდა ევროსაბჭოში და ლობისტების დახმარებით ცდილობდა ევროსაბჭოს მისი საქმე პოლიტიკური მსხვერპლის სტატუსით განეხილა და მთავარი იყო, ეს სტატუსი ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებამდე მიეღო. უგულავამ ნანატრი სტატუსი ვერ მიიღო, საქართველომ ევროპასთან ასოცირებას 27 ივნისს ხელი მოაწერა, ხოლო ივლისის დასაწყისში დედაქალაქის ყოფილ მერს კარგ დროს გაატარებინებენ მათ სანაქებო ციხეში. თუკი ხელისუფლება ამას ვერ მოახერხებს, მაშინ ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ დიდი ალბათობით, ხელისუფლება კარგად ორგანიზებულ რევოლუციას მიიღებს.

როცა უგულავას 50 მილიონზე მეტის გაფლანგვას ედავებიან და უკვე მერამდენე თვეა, მას ხელისუფლება ქურდის სახელით დაატარებს, თუ ეს პროცესი ლოგიკურ დასასრულამდე არ მივა, მაშინ ხალხი მივა დასკვნამდე, რომ ხელისუფლება მას დანაშაულში ხელს აფარებს და სახელმწიფო დამნაშავეს იფარავს. წარმოუდგენელია დემოკრატიის სახელით ძარცვო ადამიანები და ის იყოს თავისუფალი. გიგი უგულავას დანაშაულებრივ ქეისში იმდენი კომპრომატია, რომ საზოგადოებას ამის დამახსოვრება და აღქმა გაუჭირდება, როგორ ძარცვავდა თბილისელებს ნომერ პირველი გიგი ყაჩაღი. გიგის ბეგრაუნდები მსოფლიო მაფიოზების შოკისმომგვრელ ისტორიებს დაამშვენებდა. ალბათ, მოვა დრო, როცა გიგის მაქინაციებზე ტომეულები დაიწერება.

რაც შეეხება „სიტი პარკთან“ დაკავშირებულ ბრალდებას, „დონ გიგი“ აქაც გვევლინება როგორც მაფიოზი. „ალიას“ სანდო წყარო უყვება, რომ ებრაულმა კომპანიამ მრავალი მილიონი გადაიხადა იმისთვის, რათა ტენდერში სწორედ „სიტი პარკს“ გაემარჯვა, აბსოლუტურად სხვა ხელშეკრულება შეიცვალა გიგისთვის სასურველ ხელშეკრულებად და მასში კონკრეტულ მუხლებს გრიფი „საიდუმლო“ დაედო. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ, „ახალგაზრდა ადვოკატები“ თბილისის მთავრობასა და კომპანია „სიტი პარკს“ შორის დადებული ხელშეკრულების გასაჯაროებას მოითხოვდა, ხელშეკრულების მიწოდებაზე თბილისის მთავრობასაც მიმართა, თუმცა დედაქალაქის მერიამ ინფორმაცია არ გაასაჯაროვა. მონიტორინგის ფარგლებში „ახალგაზრდა ადვოკატები“ ითხოვდა ინფორმაციას, 2014 წლის იანვრის მდგომარეობით, რამდენი მოქალაქე ფლობდა თბილისის ტერიტორიაზე პარკირებისთვის დადგენილ ერთწლიანი მომსახურების პაკეტს, რომელიც 50 ლარს შეადგენს. ასევე 6-თვიან პაკეტს, რომელიც 25 ლარს შეადგენს და „სიტი პარკის“ მომსახურების 1-კვირიან პაკეტს, რომელიც 4 ლარს შეადგენს. მათ აინტერესებდათ „სიტი პარკის“ სტატისტიკური მონაცემი 1 თვის მანძილზე რამდენი ავტომობილის მიმართ ხდებოდა საჯარიმო ღონისძიების გატარება. ამ და სხვა კითხვებზე



> „როცა უგულავას 50 მილიონზე მეტის გაფლანგვას ედავებიან და უკვე მერამდენე თვეა მას ხელისუფლება ქურდის სახელით დაატარებს, თუ ეს პროცესი არ მივა ლოგიკურ დასასრულამდე, მაშინ ხალხი მივა დასკვნამდე, რომ ხელისუფლება მას დანაშაულში ხელს აფარებს და სახელმწიფო დამნაშავეს იფარავს“

გაგრძელება მეექვსე გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „თბილისის მერიაში ყველა დანაშაულებრივი სქემა გაიშიფრება“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, „მას შემდეგ, რაც თბილისის მერიის სათავეში „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი მოვა, ყველა დანაშაულებრივი სქემა გაიშიფრება“.

„არავის გაჰკვირვებია ის, რომ გიგი უგულავას წინააღმდეგ მორიგი ბრალდება იქნა წაყენებული იმიტომ, რომ არაერთი ფაქტი არსებობს იმისა, რომ აშკარაა კორუფცია და თანამდებობის ბოროტად გამოყენება, თუნდაც ის, რომ უგულავამ 48 მილიონის ოდენობის საბიუჯეტო თანხა პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენა. ვფიქრობ, რომ ის ბრალდებები, რაც უგულავას აქვს წაყენებული, ზღვაში წვეთია იმ კორუფციულ სისტემასთან, რასაც ადგილი ჰქონდა მისი მმართველობის პერიოდში და ჩვენ ამაზე არაერთხელ გვსმენია... უკვე არავის უკვირს, რომ ნებისმიერ გაფაფხურებაზე „ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკურ დევნაზე წუწუნებს... თავად უგულავას განცხადებაში იკითხება ის, რომ მან კარგად იცის, ის საზოგადოებისთვის არაპოპულარული და მიუღებელია. უგულავა აცხადებს, რომ ამით ნარმანიას ქულების დაწერა სურს. ე.ი. გიგი უგულავასთვის ბრალის წაყენება ხალხს ისე გაუხარდა, რომ ნარმანიას მისცემენ ხმას. ანუ თავისთავად აღიარებს იმას, რომ ის არაპოპულარულია და მის მიმართ წარდგენილი ბრალდებები ხალხს უხარია“, – განაცხადა სესიაშვილმა. (ფრონტნიუსი)

## „ნუ ეშინია უგულავას, თუ მართალია, დაამტკიცოს სასამართლოში“



პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე უგულავას გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს აფასებს:

„ნაციონალურ მოძრაობას“ ვკითხოთ, როდის არის მათთვის ხელსაყრელი დრო, როდის იქნებიან მზად იმისთვის, რომ ჩადენილზე პასუხი აგონ? ამ ქვეყანაში ყოველთვის რაღაც ხდება, არჩევნებია, ახლა ასოცირების ხელშეკრულებისთვის უნდა მოგვეწერა ხელი და ა.შ. მუდმივად ამ პროცესებში ვართ და მილიონობით ლარის მოპარვაზე პასუხი არავინ უნდა აგოს?! ისინი გამუდმებით პოლიტიკურ სარჩულს უდებენ ყველაფერს და სპეკულირებენ. ევროპაში არავინ იპარავს, თანამდებობის პირს ვგულისხმობ და თუ იპარავენ, ამისთვის პასუხსაც აგებენ. ევროპისთვის უცხოა, თანამდებობის პირი, საკუთარი მდგომარეობიდან გამომდინარე, არ დაისაჯოს კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გამო. მათ პასუხი უნდა აგონ ჩადენილისთვის, მაგრამ მე და ჩემმა პოლიტიკურმა გუნდმა კი არ უნდა ვაგებინოთ პასუხი, სასამართლოს წინაშე უნდა წარდგნენ და გასცენ პასუხი ყველა კითხვას. სასამართლო დღეს არ არის არც მმართველი გუნდის და არც პროკურატურის გავლენის ქვეშ. პროცესები გამჭვირვალეა და ჩაატარონ მონიტორინგი. ყველა დამნაშავე, განურჩევლად იმისა, ვინაა ის, პასუხს აგებს კანონის წინაშე. ნუ ეშინია უგულავას, თუ მართალია, დაამტკიცოს სასამართლოში“, – განაცხადა კობახიძემ. (ფრონტნიუსი)

## საქართველო ისალმური ხალიფატის „ახალ“ რუკაზე — ჯიხადი 2020




ტერორისტულმა დაჯგუფებამ ერაყისა და ლევანტის ისლამურმა სახელმწიფომ „ISIS“-მა, მიკრობლოგ „ტვიტერში“ ახალი რუკა გამოაქვეყნა, რომელზეც მსოფლიოს ის სახელმწიფოებია მონიშნული, სადაც „ISIS“ შარიათის კანონზე დაფუძნებული სახელმწიფოს შექმნას გეგმავს. ახალ ისლამურ რუკაზე საქართველოც მოხვდა. საქართველოსთან ერთად რუკაზე მთიანად არის კავკასიის რეგიონი, ახლო აღმოსავლეთი – პალესტინა, იორდანია, ლიბანი სირია, ეგვიპტე, არაბეთის ნახევარკუნძული, თურქეთი, ჩრდილოეთ აფრიკა თითქმის ცენტრალურ აფრიკამდე, აზიის დიდი ნაწილი, აღმოსავლეთ ევროპის ნაწილი, ბალკანეთი, ყირიმის ნახევარკუნძული და ასევე პირინეის ნახევარკუნძული – ესპანეთი, პორტუგალია.

ჯიხადი 2020 – მსგავსი ტიპის სტრატეგიულ გეგმას ალ-ქაიდა ჯერ კიდევ 2000 წელს პროგნოზირებდა, თუმცა მის შესახებ ცნობილი მხოლოდ 2005 წელს გახდა. ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო, რომელიც აჯანყებული ერაყელი სუნიტების მთავარი თავშესაფარია, 2006 წელს შეიქმნა, ტერორისტულ დაჯგუფებას ერაყის 18 პროვინციიდან 8-ზე სადაც ძირითადად სუნიტები ცხოვრობენ, პრეტენზია აქვთ. „ISIS“ ის შემქმნელები არიან „ალ-ქაიდა“ და შურის მოჯაჰედთა საძმო.

მსოფლიო თანამეგობრობას საბოლოოდ არ მიუღია გადაწყვეტილება, რა ფორმით ებრძოლოს ახალ ისლამურ საფრთხეს. საუბარია იმაზეა, რომ ამერიკამ ერაყის მთავრობას საჰაერო წერტილოვანი დარტყმებით აღმოუჩინოს დახმარება. ტერორისტული დაჯგუფება, ერაყში მოწყობილი უმეტესი ტერორისტული აქტების ავტორია.

არაოფიციალური ინფორმაციით, დაჯგუფებაში 10-დან 15 ათასამდე კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებულია, დაფინანსების წყაროები კი, ექსპერტების ვარაუდით, ძარცვისგან, გამოსასყიდისგან მიღებული სახსრებია, თუმცა მთავარი დაფინანსების წყაროდ სპარსეთის ყურის ქვეყნები ითვლებიან, მათ შორის საუდის არაბეთი, ქუვეითი და ასევე მსხვილი მენავთობეები. (პირველი რადიო)

*მეხუთე გვერდიდან*

გიგი უგულავას პასუხის გაცემა უკვე სასამართლოში მოუწევს.

**საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ჟაბა სამუშია „ალიასთან“ ინტერვიუში იხსენებს, როგორ გაჩნდა საქართველოს რეალობაში „სიტი პარკი“.**

– ქვეყანაში 2007 წელს ჩამოდის კომპანია „სიტი პარკი“, რომელსაც ამარჯვებინებენ ტენდერში, უდებენ გარკვეულ ვალდებულებებს, შემდეგ კი ამ ვალდებულებებს უგულავა და მისი გარემოცვა ცვლის სათავისოდ. მაგრამ ყველაზე მთავარი აქ ის არის, რომ „სიტი პარკის“ გამარჯვების შემდეგ შემოსავალი უნდა ყოფილიყო შემდეგნაირად – მოგების 40% უნდა წაელო „სიტი პარკს“, 60% კი მიჰქონდა ქალაქს. გამოვითხოვე დოკუმენტი, მაინტერესებდა მთლიანი თანხა რა იყო გადახდილი 2008 წლიდან 2013 წლამდე, მძღოლების მხრიდან, რომლებიც „სიტი პარკის“ 50-ლარიან პაკეტს ყიდულობდნენ. გადახდილმა თანხამ 3 მილიონი ლარი შეადგინა. ეს მაშინ, როცა თბილისში აღრიცხულია 420 ათასი მანქანა. ეს ინფორმაცია ოფიციალურად მომაწოდა შინაგან საქმეთა სამინისტრომ. მძღოლების 25% რომ იყოს 50-ლარიანი „სიტი პარკის“ პაკეტის მფლობელი, წლის შემოსავალი არის 5 მილიონი ლარი. ახლა გეკითხებით, 6 წლის მანძილზე 3 მილიონი ლარი ბიუჯეტში რომ შეიტანეს, დანარჩენი მილიონები სად წავიდა?!. მე აღარ ვლაპარაკობ 25 და 4-ლარიან პაკეტებზე. 100 ათას მძღოლს რომ ეყიდა „სიტი პარკის“ მომსახურების პაკეტი, წელიწადში თბილისის ბიუჯეტში მინიმუმ 5 მილიონი უნდა შესულიყო, აღარ ვლაპარაკობ ჯარიმებზე და იმ საურავებზე, რასაც „სიტი პარკი“ იღებს მოგების სახით. ასობით მილიონი ლარის მოგებაა გამქრალი თბილისის ბიუჯეტიდან.

**— ვინ ლობირებდა „სიტი პარკის“ შემოსვლას საქართველოში?**

– ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ როგორც ხედავთ, კობა ბექაურის გვარი ფიგურირებს. აქ უნდა ჩადებულიყო დიდი ინვესტიცია და გაკეთებულიყო მიწისქვეშა პარკინგები, როგორც ეს მსოფლიოს დიდ ქალაქებშია. ფული კი დაიხარჯა სალებავებში, მოინიშნა ტერიტორიები და აი, ამით დასრულდა ე.წ. ინვესტიციის ჩადება, რეალურად გაკეთდა ძალიან დიდი ფული დანახარჯის გარეშე, რაც წავიდა კონკრეტული ადამიანების ჯიბეში და აზარალეს თბილისის ბიუჯეტი. საქმე ისაა, რომ ხელშეკრულება შეიცვალა და 2010 წლიდან მოყოლებული ვცდილობ ვნახო, თუ რა წერია მასში, მაგრამ ეს ხელშეკრულება არის გასაიდუმლოებული. 2012 წელს, როცა კიდევ ერთხელ მოვიკითხე ხელშეკრულება, არ გამომიგზავნეს რამდენიმე მუხლი, რომელიც არის დავის საგანი და დოკუმენტში იყო მითითებული, რომ ეს არის დიდი საიდუმლო.

**— თქვენი აზრით, ეს კორუფციული სქემა, გიგი უგულავას გარდა, რამდენ ადამიანს გადაიყოლებს?**

– არ ვარ სამართალდამცავი, თუმცა მაქვს პოლიტიკური შეფასების გაკეთების უფლება. ამ შემთხვევაში, დოკუმენტები პირდაპირ მიუთითებს, რომ გიგი უგულავა, როგორც ქალაქის მერი, ჩართული იყო „სიტი პარკის“ შემოყვანის პროცედურაში და ლობირებდა მას. ის იყო ყველა მოლაპარაკების საქმის კურსში, პირადად დანიშნა თავისი წარმომადგენელი „სიტი პარკთან“ მოლაპარაკებაში, აქედან გამომდინარე იგი არათუ განყენებულად იდგა ამ პროცესებიდან, როგორც ქალაქის მერი, არამედ პირდაპირ იყო ჩართული, როგორც დაინტერესებული მხარე. ამ ისტორიაში ყველაზე სკანდალური პასაჟი კი ისაა, რომ თბილისის უფლებაშეჩერებული მერი „ნაციონალური მოძრაობის“ ნომერ პირველმა „ჟუჩოკმა“ კობა ბექაურმა ჩაუშვა. გიგი ყაჩაღმა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შენობის დატოვების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი საქმეში მთავარი მოწმე არის კობა ბექაური.

„ბრალდება აბსურდულია“ – აცხადებს გიგი ყაჩაღი, – მთავარი მოწმე ამ ბრალდებაში არის კობა ბექაური... როცა ეს გავიგე, 5 წუთი ვფიქრობდი, საერთოდ რა კავშირშია ის ამ საქმესთან. აქედან გამომდინარე, საქართველოში სელექციური მართლმსაჯულება კი არ არის, ცინიკური მართლმსაჯულებაა“.

აბა, გამოიცანით, რა უფრო დიდი ცინიზმია, როცა მილიონობით სახელმწიფო თანხების მითვისებაში ბრალს გდებენ, თავისუფლად დაჭენაობ და თავი მამა აბრამის ბატკანი გგონია, როცა სასამართლო ჯერ კიდევ შენია და ამტკიცებ, რომ უდანაშაულო ხარ, თუ ის უფრო დიდი ცინიზმია, გიგი ყაჩაღო, რომ ბექაურით დაიწყეთ ბოზობა და ბექაური ბოლოს გიღებთ?!. ბექაურს რომ არბენინებდი ებრაელებსა და შენს შორის შუამავლად, მაშინ უნდა გეფიქრა, რომ ამ ყველაფერს ცინიკური დასასრული ექნებოდა.

C.T.PARK

**„მძღოლების 25% რომ იყოს 50-ლარიანი „სიტი პარკის“ პაკეტის მფლობელი, წლის შემოსავალი არის 5 მილიონი ლარი. ახლა გეკითხებით, 6 წლის მანძილზე 3 მილიონი ლარი ბიუჯეტში რომ შეიტანეს, დანარჩენი მილიონები სად წავიდა?!. მე აღარ ვლაპარაკობ 25 და 4-ლარიან პაკეტებზე“**

**„ალია“ დაუკავშირდა მთავარი პროკურატურის პრესსამსახურის უფროსს თემურ დოლიძეს კითხვით, რას აპირებს პროკურატურა ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით?**

**— ჩვენთვის ცნობილია, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური უგულავას და „სიტი პარკის“ საქმეს დღეს, 1 ივლისს უკვე მთავარ პროკურატურას უგზავნის. როდის უნდა შევიდეს შუამდგომლობით პროკურატურა სასამართლოში აღმკვეთი ღონისძიების მოთხოვნით?..**

– ვინაიდან გიგი უგულავას შეფარდებული არა აქვს წინასწარი პატიმრობა, 48 საათის განმავლობაში კანონი არ გვავალდებულებს, რომ შევიდეთ შუამდგომლობით. ანუ ჩვენ კანონით დადგენილ ვადებში და არა 48 საათში, გვაქვს უფლება მივმართოთ სასამართლოს აღმკვეთი ღონისძიების მოთხოვნით, ხოლო რას მოვითხოვთ აღმკვეთ ღონისძიებაში – გირაოს თუ პატიმრობას, ეს გადაწყვეტილება ჩემთვის ცნობილი არ არის.

**— 48 საათი გამოირიცხა. თუმცა კანონით განსაზღვრული ვადების მიხედვით რამდენ დღეში უნდა ჩაეტიოთ, რომ მოითხოვოთ აღმკვეთი ღონისძიება სასამართლოში?**

– უახლოეს დღეებში ვაპირებთ მივმართოთ სასამართლოს...

**— არის ინფორმაცია, რომ შესაძლოა გიგი უგულავამ დატოვოს საქართველო, მან კიდეც დააანონსა, რომ აპირებდა დიდ ბრიტანეთში გამგზავრებას. რა გარანტია გაქვთ, რომ უგულავა არ გაიქცევა და არ მოითხოვს პოლიტიკურ თავშესაფარს?..**

– ამაზე პასუხს ვერ მოგახსენებთ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, უგულავამ განაცხადა, რომ ამასთან დაკავშირებით, მან მიიღო გაფრთხილება ფინანსური პოლიციის წარმომადგენლის მხრიდან, არ დატოვოს ქვეყანა. მას ოფიციალური გაფრთხილება მისცეს თუ სიტყვიერი, ამის შესახებ არაფერი არ ვიცი.

**გამოძიება გრძელდება და „სითი პარკის“ საქმეზე კიდევ ბევრს დაიბარებენ. ისე, საინტერესოა, თუკი უგულავა დამნაშავეა, მოსთხოვენ თუ არა პასუხს „სითი პარკს“, რომელიც მინიმუმ დანაშაულის თანამონაწილე გამოდის?**

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

*თემის გაგრძელება მეშვიდე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ქართული ოცნების“ დეპუტატი ჯარიმის სანაცვლოდ გაათავისუფლეს



ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ანაკლიის 32-ე საარჩევნო უბანზე მომხდარ ინციდენტში მონაწილე ერთ-ერთი პირი 400-ლარიანი ჯარიმის სანაცვლოდ გაათავისუფლა. გოგა ღადუამ განაცხადა, რომ ის ჩადენილ დანაშაულს ნანობს.

„მინდოდა გამეგო რატომ დააკავეს ჩემი მეგობრები. ვიყავი ნასვამი და ვაღიარებ, რომ მოვიქეცი აგრესიულად. ცუდი სიტყვებით მივმართავდი პოლიციას. ვინანიებ ჩადენილს“, – განაცხადა ღადუამ.

ღადუა, რომელიც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიის მესამე ნომერია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 173-მუხლით, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის იყო დაკავებული. (ნიუპოსტი)

## „ქართული ოცნება“ შემდეგ არჩევნებზე მწარე მარცხს განიცდის“



„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია, დარწმუნებულია, რომ „ქართული ოცნება“ შემდეგ არჩევნებზე მწარე მარცხს განიცდის:

„სამწუხაროდ, ეს ფაქტი არ ყოფილა მოულოდნელი, ეს არის უნიათო, არაფრის გამკეთებელი, არაკომპეტენტური ხელისუფლების მხრიდან იგივე ხაზის გაგრძელება – პოლიტიკურ დევნაზე აქცენტის გაკეთება, როდესაც სხვა ვერაფერს აკეთებ, პირველ რიგში კი იმას, რისთვისაც ისინი აირჩიეს. ეს არაფერს კარგს არ მოუტანთ, ძალიან ცუდად მოუტრიალდებათ, მაგრამ როგორც მრავალჯერ გვითქვამს, ამ პროცესში ისინი აზიანებენ ქვეყანას, რაც ძალიან სამწუხაროა. ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას, როგორც შეეფერება დემოკრატიულ ოპოზიციას და დარწმუნებული ვარ, მით უმეტეს, ამ არჩევნების შედეგების შემხედვარე, რომ შემდეგ არჩევნებზე ისინი მწარე მარცხს განიცდიან, და სწორედ ეს არის, რაც მათ ყველაზე მეტად აღელვებთ და მათ უფროსს, ოლიგარქ ივანიშვილს.

მორატორიუმის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ სანამ საარჩევნო კამპანია მიდის, იმ ტიპის საქმეებზე, რომლებიც მყისიერ საფრთხეს არ უქმნის საზოგადოებას და ძალადობრივი დანაშაული არ ხდება, არავის დაკითხვა არ უნდა მომხდარიყო, რომ პროცესს ხელი არ შეეშალოს. ამაზე იყო საუბარი, დაიჭირეს ჩვენი რამდენიმე კანდიდატი, წინასწარ პატიმრობაშია იმ ტიპის ვითომ დანაშაულზე, რომლისთვისაც, მათივე განცხადებით, აღმკვეთი ღონისძიება საერთოდ არ უნდა ყოფილიყო.

ასე რომ, პატარა შეთანხმებაც კი დაარღვიეს, რაც არ გვიკვირს. მათი პანიკა გასაგებია, ამ არჩევნების შედეგების შემდეგ, მაგრამ ისევე როგორც ყველაფერი სხვა, არის არაადეკვატურად გამოხატული“, – განაცხადა ბოკერიამ. (ნიუპოსტი)

## ვაკეში მამაკაცს აქლემი დაესხა თავს



ვაკეში, ყიფშიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოს მოქალაქეს თავს აქლემი დაესხა. ინფორმაციას საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, 70 წლამდე მამაკაცი, ვაკეში მცირეწლოვან შვილიშვილს ასეირნებდა, რა დროსაც მოულოდნელად მას აქლემი დაედევნა. მამაკაცი განრისხებული ცხოველისგან თავის დაცვას შეეცადა, რა დროსაც სახის არეში დაზიანება მიიღო. აქლემის შეჩერება კი მხოლოდ მისმა მეპატრონემ შეძლო. მართალია, 70 წლის მამაკაცს სიცოცხლისთვის საშიში ტრავმა არ მიუღია, მაგრამ სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და საპატრულო პოლიციის მისვლამდე ის შოკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციას, თავდაპირველად, აქლემი თბილისის ზოოპარკიდან გამოქცეული ეგონა, თუმცა ეს ვერსია მას შემდეგ გამოირიცხა, რაც აქლემის მეპატრონემ ცხოველის პასპორტი და სხვა საჭირო დოკუმენტაცია წარმოადგინა.

არსებული ინფორმაციით, ცხოველის მეურვე შვეიცარიის მოქალაქეა. ის საქართველოში აქლემთან ერთად გადმოსახლდა და ვაკე-საბურთალოს გზის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობს.

აღნიშნული ფაქტის გადამოწმება „ნიუპოსტმა“ შინაგან საქმეთა სამინისტროში სცადა. უწყებაში აცხადებენ, რომ მსგავს ფაქტს ადგილი ნამდვილად ჰქონდა. როგორც შს სამინისტროს პრესსამსახურში განმარტავენ თავდასხმისას მოქალაქე არ დაშავებულა. ადგილზე მისულმა საპატრულო პოლიციამ კი აქლემის მეპატრონეს ადმინისტრაციული ჯარიმა დააკისრა. 85-ე მუხლის თანახმად, შვეიცარიის მოქალაქეს 1300 ლარამდე ჯარიმის გადახდა მოუწევს. (ნიუპოსტი)

## „მინდია გორაძე ძებნილი არ არის“



„ნაცმოძრაობის“ წევრის, გიორგი ღვინიაშვილის განცხადებით, ე.წ. კანონიერი ქურდების ქვეყანაში უპრობლემოდ შემოსვლას ხელისუფლების მაღალჩინოსნები უწყობენ ხელს. მისი ინფორმაციით, 19 ივნისს სწორედ ერთ-ერთი მაღალჩინოსნის დახმარებით შემოვიდა საქართველოში კრიმინალური ავტორიტეტი მინდია გორაძე, იგივე „ლავას ოღლი“. მისივე ინფორმაციით, გორაძემ საზღვრის გადმოკვეთა მინდია აბაშიძის სახელით შეძლო.

შინაგან საქმეთა სამინისტროში „ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებას ეხმაურებიან. შსს-ს პრესსამსახურის ხელმძღვანელის, ნინო გიორგობიანის განცხადებით: „მინდია გორაძე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ძებნილი არ არის, ხოლო რაც შეეხება მოქალაქეს სახელით და გვარით მინდია აბაშიძე, ასეთი სახელით და გვარით საქართველო-თურქეთის საზღვარი არავის გადმოუკვეთავს 19 ივნისს“. (ნიუპოსტი)



# „გამოძიება ახვლედიანსაც დაიბარებს“

**კობა ბექაური: „იქ დადიოდა დედამისი, გიული ალასანია, სააკაშვილის მდივანი ცაცა და სხვები. მთელი „შაიკა“ იყო დაკავშირებული ამ საქმესთან“**

**გიგი უგულავას თქმით, ახალ ბრალდებაში, რომელიც მას წაუყენეს, მთავარი მოწმე კობა ბექაურია — „ნაციონალების“ ყოფილი თანამებრძოლი და შალვა რამიშვილის ციხეში გამამწესებელი. დაკითხვიდან გამოსული უგულავა გაოცებული ამბობდა, „რომ გავიგე კობა ბექაური, ერთი ხუთი წუთი ვფიქრობდი, საერთოდ რა კავშირშია ამ საქმესთან?“**

**თუ რა კავშირშია, ამის შესახებ ბექაური „ალიასთან“ ისაუბრებს.**

– 2005 წელს, როცა საკრებულოში ვიყავი, მე თავად შევხვდი ებრაელ ბიზნესმენებს და შემოვიყვანე საქართველოში. იმავე წელს გაიმართა პრეზენტაცია, მაგრამ 2007 წელს ებრაული კომპანიის წარმომადგენლებს უგულავა და მამუკა ახვლედიანი შეხვდნენ და ტენდერში გაამარჯვებინეს. დაარწმუნეს, აქ ბექაური არაფერ შუაშია, წილები ჩვენ მოგვეცითო. მოკლედ, დაწერეს ისეთი ხელშეკრულება, როგორიც აწყობდათ, ფაქტობრივად, არჩევნების პერიოდში „სიტი პარკი“ იყო „ნაციონალების“ შავი ხვრელი – მაგალითად, 2012 წლის არჩევნების დროს ეს კომპანია აფინანსებდა გიგა ნასარიძის კლიპებს, რომელიც იყო მიმართული ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ. უგულავამ ჩაატარა სუფთა მაფიოზური ტენდერი, რომლითაც თბილისი მან თავის ბიუჯეტად აქცია. მე მინდოდა, თბილისისთვის საქმე გამეკეთებინა, მაგრამ თაღლითურად მომიშორეს და დაიწყეს ფულის კეთება. ამის გამო ხუთჯერ შეცვალეს ხელშეკრულება.

**— კობა, 2007 წლის შემდეგ 7 წელი გავიდა, ეს საქმე რატომ გაგახსენდა ახლა?**

– რას ამბობ, 2012 წლამდე ხმის ამოღებას რა აზრი ჰქონდა? ფაქტობრივად, ნაძირალა უგულავა თბილისის მეფე იყო. ეს საქმე დაწყებული იყო, მიდიოდა ძიება და ახლა მთავარი მოწმის სახით მივეცი ჩვენება. მაგან ის ებრაული კომპანია, რომელიც მე შემოვიყვანე, აქედან გაიყვანა და 2010 წელს თვითონ დაარეგისტრირა ახალი ორგანიზაცია, ანუ სხვა შემოიყვანა. სატენდერო პირობები პირდაპირ მოარგეს და დაიწყეს ფულის კეთება. ამ საქმეში თვითონ ჩასხდნენ.

**— ფორმალურად ვინ შემოიყვანეს?**

– ვირჯინიის კუნძულებზე სხვა კომპანია დაარეგისტრირეს. ფაქტობრივად, თვითონ არიან.

**— კობა, რა თანხასაც ახლა უგულავას ედავებიან, შენი ჩვენების საფუძველზე ხდება თუ გამოძიებამ თვითონ დაადგინა?**

– არა, ეს გამოძიებამ დაადგინა, ოღონდ ამ ეტაპზე. გაცილებით მეტი იქნება გაფლანგული და ამასაც შეისწავლიან. მე ერთ-ერთი მთავარი მოწმე ვარ, თორემ ეგ ძალიან დიდი საქმეა, განსაკუთრებით პარკინგთან დაკავშირებით, ხელშეკრულებების შეცვლასთან და ადმინისტრაციულ დარღვევებთან დაკავშირებით. სხვა მოწმეებიც იქნებიან იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ დაირღვა ხელშეკრულებები, ამას გამოძიება ცალკე სწავლობს.

**— ჩვენებაში ნახსენები გყავს მამუკა ახვლედიანიც... შეიძლება, რომ უგულავას გარდა სხვებსაც მიადგნენ?**

– კი, მამუკა ახვლედიანი დადიოდა ყოველ კვირა ისრაელში, რომ ებრაელები დაეთანხმებინა. მე მათ პირდაპირ მითხრეს, შენი გაწევა უნდათ, ამაზე „ჩალიჩობენო“. მანდ ახვლედიანის ცოლის ბიძაშვილია მთავარი მენეჯერი. ყველაფერი შემდეგ გადაფორმდა ოფშორში. გამოძიება ახვლედიანსაც დაიბარებს. ყველაფერს აქვს დასასრული და სწორედ ამ პროცესშია უგულავა. 40 მილიონი მარტო რიყის ტერიტორიიდან აქვს წაღებული და კიდევ აქეთ წივის.

ნათქვამია, თავდასხმა საუკეთესო თავდაცვააო, მაგრამ როცა საქმე გამოძიებას ეხება, ეს მეთოდი არ ამართლებს. ახლა დაიწყო, ეს პოლიტიკური დევნააო და ბიძინა ივანიშვილს ლანძღავს, 2007-ში ბიძინა იყო? 2010-ში რომ ხელშეკრულებები ყირაზე დააყენა, მაშინ ბიძინა იყო?

**— უგულავასთან ამ საკითხზე არ გილაპარაკია?**

– არა, მაგასთან სალაპარაკო რა მაქვს, მაგ არაკაცთან?

**— ამბობენ, რომ შენ მიშა მაჭავარიანის ბიზნესებს პატრონობ და სხვა „ნაციონალებთანაც“ გაქვს ბიზნეს-ურთიერთობები.**

– ეგ ზღაპარია... მაჭავარიანის არა, ბებიამისის ბიზნესს!

**— მაგ „სასტავთან“ საერთოდ რამე შეხება გაქვს?**

– 2006 წლის შემდეგ მე მაგათთან არავითარი შეხება არ მაქვს. გოგორიშვილის დედა ვატირე, პარლამენტიდან რომ წამოვედი, მე განცხადება არ დამიწერია. ძალიან მაინტერესებს, როგორ გააკეთეს, როგორ მოაწყვეს ყველაფერი, თითქოს ჩემი ნებით დავწერე განცხადება?

**— შენ მაგივრად თვითონ დაწერეს განცხადება?**

– კი, იქ ჩემი ხელმოწერა არსად არ ფიქსირდება. ან უჩემოდ საკითხი როგორ განიხილეს? ახლა გამოდის გოგორიშვილი და ევროპულ დემოკრატიაზე ლაპარაკობს, კარგია, არა?!

**— კი, ხათუნა არჩევნების გაყალბებაზეც გველაპარაკება ხოლმე. კობა, ახლა რომ ალაპარაკდი, მაშინ რატომ არ გამოხვედი და არ თქვი, განცხადება არ დამიწერიაო?**

– მივიდოდნენ და იმ გიჟს ეტყოდნენ, მერე რა მოხდებოდა, ხომ წარმოგიდგენია?

**— სააკაშვილზე ამბობ?**

– კი, აბა, ვისზე ვამბობ?

**— როცა ებრაული კომპანია „აგახიეს“, ალბათ, „დაბრო“ სააკაშვილისგან ჰქონდათ, არა?**

– რა თქმა უნდა, იქ დადიოდა დედამისი, გიული ალასანია, სააკაშვილის მდივანი ცაცა და სხვები. მთელი „შაიკა“ იყო დაკავშირებული ამ საქმესთან. ყველას მოეკითხება.



**„მამუკა ახვლედიანი დადიოდა ყოველ კვირა ისრაელში, რომ ებრაელები დაეთანხმებინა. მე მათ პირდაპირ მითხრეს, შენი გაწევა უნდათ, ამაზე „ჩალიჩობენო“. მანდ ახვლედიანის ცოლის ბიძაშვილია მთავარი მენეჯერი. ყველაფერი შემდეგ გადაფორმდა ოფშორში“**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციის მონაწილეები საყდრისის მაღაროში არ შეუშვეს



საყდრისის ერთ-ერთი მცველის, ნინო მიქიაშვილის თქმით, გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციის წარმომადგენლებს RMG GOLD-ის წარმომადგენლებმა საყდრისის მაღაროში არსებული მდგომარეობის შესწავლის საშუალება არ მისცეს.

„გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციის წარმომადგენლები ყაზბეგის პოლიციაში მას შემდეგ მივიდნენ, რაც მათ საყდრისის მაღაროში არსებული მდგომარეობის შესწავლის უფლება RMG GOLD-ის წარმომადგენლებმა არ მისცეს.

2 ივლისს, ნიკოლოზ ანთიძის მოწვევით გერმანიიდან საქართველოში ქართულ-გერმანული ექსპედიციის ხელმძღვანელი ჩამოდის. იქამდე მის ქართველ კოლეგებს სურდათ, რომ საყდრისში არსებული მდგომარეობა დეტალურად შეესწავლათ, მაგრამ მათ ამის საშუალება არ მიეცათ. (რეპორტიორი)

## „აეროფლოტი“ თბილისში აღარ იფრენს



რუსეთის სამოქალაქო ავიაციის ხელმძღვანელობამ „აეროფლოტს“ საქართველოში რეისების განხორციელებაზე უარი განუცხადა. სააგენტო განმარტავს, რომ ამ საჰაერო ხაზზე ფრენა შემდეგი ფორმულირებით იყო ნებადართული „მას შემდეგ, რაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან რეგულარული საჰაერო მიმოსვლის შესახებ საპასუხო ნოტა იქნებოდა მიღებული. უარი ეთქვას დაშვებაზე“. (პირველი რადიო)

## საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა 13.1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა



მიმდინარე წლის 31 მარტის მდგომარეობით საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა 13.1 მლრდ აშშ დოლარი (22.9 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტალის მშპ-ს 80.8 პროცენტია.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, აქედან, სამთავრობო სექტორის ვალი 4.2 მლრდ აშშ დოლარია (7.3, მლრდ ლარი; მშპ-ს 25.7 პროცენტი), ეროვნული ბანკის ვალი – 301.1 მლნ აშშ დოლარი (526.3 მლნ ლარი; მშპ-ს 1.9 პროცენტი), საბანკო სექტორის საგარეო ვალმა კი 2.6 მლრდ აშშ დოლარი (4.5 მლრდ ლარი; მშპ-ს 15.8 პროცენტი) შეადგინა, სხვა სექტორების საგარეო ვალმა – 3.4 მლრდ აშშ დოლარი (5.9 მლრდ ლარი; მშპ-ს 20.7 პროცენტი), კომპანიათაშორის ვალმა კი – 2.7 მლრდ აშშ დოლარი (4.8 მლრდ ლარი; მშპ-ს 16.8 პროცენტი). მთლიანი საგარეო ვალის 94.2 პროცენტი დენომინირებულია უცხოური ვალუტით.

საქართველოს წმინდა საგარეო ვალმა 2014 წლის 31 მარტის მდგომარეობით 8.4 მლრდ აშშ დოლარი (14.8 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც მშპ-ს 52.0 პროცენტია; აქედან, წმინდა სახელმწიფო საგარეო ვალმა 2.7 მლრდ აშშ დოლარი (4.7 მლრდ ლარი; მშპ-ს 16.5 პროცენტი) შეადგინა, ხოლო კერძო სექტორის წმინდა საგარეო ვალმა – 5.8 მლრდ აშშ დოლარი (10.1 მლრდ ლარი; მშპ-ს 35.5 პროცენტი). (ინტერპრესნიუსი)

## „ცე“ ჰეპატიტით დაავადებულთათვის მედიკამენტი 60%-იანი ფასდაკლებით გაიცემა




1 ივლისიდან „ცე“ ჰეპატიტით დაავადებული პირებისთვის ძვირადღირებული მედიკამენტის გაცემა 60%-იანი ფასდაკლებით მოხდება. ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, ბენეფიციარები მედიკამენტების – „პეგილირებულ ინტერფერონისა“ და „რიბავერინის“ ფასდაკლებით შეძენას მხოლოდ პსპ-ს აფთიაქში იოსებიძის ქ. №60-ში შეძლებენ. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK





# ახალი ტერორისტული ორგანიზაციის, „ისლამური ხალიფატის“ 5 მეთაური საქართველოს მოქალაქეა

**„ალიას“ ბუქარესტიდან ორი დღის წინ დაბრუნებული უსაფრთხოების ექსპერტი, ვახტანგ მაისაია ესაუბრა:**

**— ბატონო ვახტანგ, რამდენიმე საათი გელოდებოდით, სანამ თქვენთან გასაუბრებას შევძლებდი. რა საქმეზე დაგკითხათ პოლიციამ?**

– სამწუხაროდ, საქართველოში კვლავ დაიწყო ადამიანის უფლებათა დარღვევის უხეში ფაქტების დაფიქსირება, თანაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია, რომ მოწმეებზე ფიზიკურ და მორალურ-ფსიქოლოგიურ ზეწოლასაც აქვს ადგილი, რათა ჩვენებები შეცვალონ. ამ მხრივ, საყურადღებოა ზაზა აზარიაშვილის საქმე, რომელმაც მისცა ჩვენება, რომ გლდანის №8 საპყრობილეში 2010 წლის სექტემბერში მზადდებოდა პოლიტიკურად შეკვეთილი მკვლელობა, რაც მას და ერთ-ერთ სხვა პატიმარს, ლევან ოგანეზოვს ციხის მაშინდელმა დირექტორმა ალექსანდრე მუხაძემ (მეტსახელად „კილერა“) დაავალა თავის კაბინეტში (ამ პროცესს ესწრებოდა ციხის უსაფრთხოების სამსახურის მაშინდელი უფროსი ვიქტორ ყაჭეიშვილი და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი სამი უცნობი პიროვნება). მის ამ ჩვენებას ადასტურებენ ციხის უსაფრთხოების სამსახურის მაშინდელი ოპერატიული თანამშრომლები. ამის საფუძველზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ჩემს წინააღმდეგ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობისა და წამების შესახებ, რომელსაც „წარმატებით“ იძიებს თბილისის საქალაქო პროკურატურა 2013 წლის ნოემბრიდან.

**— მოწმეზე ზეწოლები ამის შემდეგ დაიწყო?**

– დიახ, დაიწყო აზარიაშვილზე ფიზიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური ზეწოლა და დაშინების ფაქტები შსს-ს წარმომადგენლების მხრიდან, რომელმაც თავის აპოგეას ამა წლის ივნისის ბოლო დღეებში მიაღწია – ის დაიბარეს დაკითხვაზე მოწმის სახით და მიუთითეს, რომ გამოცხადებულიყო ადვოკატის გარეშე. შეიძლება გამოითქვას ვერსია, რომ გათვალისწინებულია ე.წ. „ოფიციალური დაკითხვის“ საბაბით ზაზა აზარიაშვილის უკანონო დაკავება წინასწარ შეთითხნილი საბაბით და მისი დაკავება წინასწარი იზოლირების საკანში, სადაც განხორციელდება მასზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა, რის შედეგადაც მას აიძულებენ, უკან წაიღოს თავისი ჩვენება. შსს-ს სათანადო სტრუქტურები ამით შეეცდებიან ე.წ. „მუნდირის ღირსების“ დაცვას და საქმის საბოლოოდ ჩიხში შეყვანას. ამ დროს, არაადამიანური მოპყრობის გარდა, საქმე ეხება ჩემს წინააღმდეგ სათანადო შსს-ს ოპერატიული სამსახურების მხრიდან დაგეგმილ ლიკვიდაციას და მათთან დაკავშირებულ პირთა გადარჩენას სამსჯავროსგან.

**— ვის გულისხმობთ, ვის გადარჩენას ცდილობენ?**

– ეს საკითხი უშუალოდ ეხება საქართველოს ეროვნული უშიშროების საკითხებს და შესაძლოა, დაკავშირებული იყოს იმ ჩვენებასთან, რომელიც მე მივეცი სახალხო დამცველის ოფისთან შექმნილ ე.წ. „ლოპოტას სპეცოპერაციასთან დაკავშირებით ფაქტების დამდგენი სამუშაო ჯგუფის“ წარმომადგენლებს, ისევე როგორც სხვა არანაკლებ საყურადღებო გარემოებებს, რომლებიც ასევე ეხება ეროვნული უშიშროებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემატიკას. ამ ფაქტთან დაკავშირებით მივწერე უჩა ნანუაშვილს, მას პირადად ვხვდები და საქმის კურსში ჩავაყენებ. თუ ამ ფაქტს გაატარებენ, ჩვენ მივიღებთ სააკაშვილზე უარეს მდგომარეობას. მიშა რომ მივიღეთ, ჩვენი ბრალია, უარეს მიშას ნუ დავუშვებთ, ამ ფაქტების წაყრუება არ შეიძლება.

**— ბატონო ვახტანგ, ბუქარესტიდან ორი დღის წინ დაბრუნდით. რა ხდებოდა, ასოცირების ხელშეკრულებასთან რამე კავშირში იყო?**

– ბუქარესტში იყო ნატოს პარტნიორი ქვეყნების კონსორციუმი. დიდმასშტაბიანი ფორუმი იყო, ესწრებოდნენ ანალიტიკოსები, პოლიტიკური მოღვაწეები და მრჩევლები. იხილებოდა უკრაინაში არსებული სიტუაცია, ნატო-რუსეთის ურთიერთობები, საუბარი შედგა ე.წ. რბილი ძალის გავლენაზე საერთაშორისო ურთიერთობებში. ვისაუბრეთ მის მნიშვნელობაზე, განიხილებოდა ის საფრთხე, რომელიც მოდიოდა რუსეთისგან ნატოს მიმართულებით.

**— ე.წ. რბილი ძალა რას ნიშნავს, ახალი ტერმინია...**

– ეს არის ისეთი ტიპის ძალა, რომელიც ითვალისწინებს არასამხედრო მეთოდების გამოყენებას, ასევე პოლიტიკურ აგრესიას, კიბერშეტევები, შეტევები კულტურაზე, ეროვნულ ფასეულობებზე და ა.შ. ეს არის ის, რასაც რუსეთი წარმატებით იყენებდა და ტექნოლოგიურად ახალია. ყირიმის ოკუპაცია მოხდა სწორედ ამ რბილი ძალის გამოყენებით, ჩვენ ამის მაგალითები გვაქვს სამხრეთ უკრაინაში. ჩვენ გვქონდა საუბარი სწორედ რბილი ძალის იმ სახეზე, რომელიც ჩვენთან არის წარმოდგენილი. იქ იმყოფებოდნენ ადამიანები, რომლებიც თავიანთ მთავრობებს რჩევებს აძლევენ, იყვნენ მაღალი დონის მრჩევლები და ანალიტიკოსები, რომელთა რჩევითაც იმართება ქვეყნები.

მე მქონდა წარმოდგენილი საერთაშორისო ტერორიზმის თემა, რადგან ამ კონსორციუმში, როგორც ნატოს სამუშაო ჯგუფის წევრმა, ჯგუფის სახელით გავაკეთე პატარა გამოსვლა. ყურადღება გავამახვილე ახლო აღმოსავლეთზე, როგორი გავლენა შეიძლება ჰქონდეს იქ არსებულ ვითარებას კავკასიაზე.

ვისაუბრე, რა საფრთხე და გამოწვევა შეიძლება ყოფილიყო მას შემდეგ, რაც ევროკავშირთან ხელს მოვაწერდით ასოცირების ხელშეკრულებაზე.

**— და რა გამოწვევები მოჰყვება ამ ხელშეკრულებას?**

– მალე გამოვა საექსპერტო გამოშვება, რომელიც ანალიტიკურია და შესაბამისი საფრთხეები გამოვყავით, მე გავაკეთე პოლიტიკური საფრთხეების ანალიზი, რის შესახებაც მოგვიანებით გესაუბრებით, როგორც კი ეს ანალიზი დასრულდება. იქ დეტალურად მაქვს დაწერილი, რა გავლენა შეიძლება იქონიოს მან ასოცირების ხელშეკრულების კონტექსტში. არის რეკომენდაციებიც შემუშავებული, მთავრობის გონივრული ნაბიჯების შედეგად როგორ შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ ეს საფრთხეები. თვითონ ევროპაში ეს თემა ძალიან აშინებთ, რადგან ისლამური ხალიფატისა და დაქირავებული ისლამისტების რიცხვი საკმაოდ დიდია. მათი რაოდენობა დღითი დღე იზრდება და საკმაოდ დიდი საფრთხეა.

**— ბატონო ვახტანგ, უამრავ ადამიანს მისცეს სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში საქართველოს მოქალაქეობა, რომელთა წარსული არაა შესწავლილი. ტერორიზმის კუთხით ეს ხალხი რამე საფრთხეს შეიცავს?**

– რა თქმა უნდა, შეიცავს. სწორედ ხალიფატის შემადგენლობაში არიან ადამიანები, რომელთაც მიიღეს მოქალაქეობა. მე გადავამოწმე ეს ინფორმაცია, ქართული წარმომადგენლობა საკმაოდ დიდია. 5 საველე მეთაური ქართული წარმოშობისაა. ასე რომ, საკმაოდ ძლიერი კავკასიური კომპონენტი იკვრება. ამ საკითხზე ანალიზის დასრულების შემდეგ ვისაუბროთ...

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სად-ის თავმჯდომარედ შესაძლოა, გოგი გახარია დაინიშნოს



სასჯელაღსრულების მინისტრის, სოზარ სუბარის განცხადებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის პოსტზე შესაძლოა, გოგი გახარია დაინიშნოს. მისი თქმით, ამ დრომდე გახარია თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს.

„ამ ეტაპზე თავმჯდომარის პოსტზე დანიშვნაზე საუბარი არ მიმდინარეობს. თუმცა, სავარაუდოდ, ცოტა ხანში მივიღებთ გადაწყვეტილებას, დარჩება თუ არა გოგი გახარია დეპარტამენტის თავმჯდომარის პოსტზე. შეიძლება სხვაზე ვიფიქროთ. უკვე ხუთი თუ ექვსი დეპარტამენტის თავმჯდომარეა შეცვლილი. რაც არ არის სასარგებლო პენიტენციური სისტემისთვის“, – განაცხადა სუბარმა. (ნიუპოსტი)

## „იმედი მაქვს, საქართველოში დემოკრატიის ხარისხი განმტკიცდება“



შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმა საქართველოს ადგილობრივი არჩევნების ჩატარება მიულოცა. მისი შეფასებით, არჩევნებზე გამოვლინდა გარკვეული პრობლემები, თუმცა იმედს გამოთქვამს, რომ პრობლემები მოგვარდება და საქართველოში დემოკრატიის ხარისხი კიდევ უფრო განმტკიცდება.

„ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ მინდოდა, პირველად სწორედ აქ ჩამოვსულიყავი. ეს უზარმაზარი სამუშაოს გამოვლინებაა. ასევე, მთელი რიგი გამოწვევების დაძლევა, მაგრამ ჩვენ უკვე მივედით იმ ეტაპამდე, როდესაც ევროკავშირთან ურთიერთობა გადადის უფრო მნიშვნელოვან და იმედისმომცემ ეტაპზე. ჩვენ ვმუშაობდით ერთად აღნიშნულის მისაღწევად. მინდა მოგილოცოთ ადგილობრივი არჩევნების ჩატარება. იყო თავისებური პრობლემები, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მათი მოგვარება მოხდება. ასევე, იმედი მაქვს, რომ საქართველოში დემოკრატიის ხარისხი კიდევ უფრო განმტკიცდება“, – აღნიშნა ბილდტმა. (რეპორტიორი)

## აი, რაში ყოფილა საქმე...



თბილისის მერის მოადგილე, ირაკლი აბესაძე გიგი უგულავასთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხს ეხმაურება და განმარტებას აკეთებს:

„ბრძანება, რის გამოც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა თბილისის მერი, მომზადებულია თბილისის მერიის რამდენიმე სამსახურის მიერ და საბოლოო სამართლებრივი ექსპერტიზა გავლილი აქვს იუსტიციის სამინისტროში. შესაბამისად, შეუძლებელია თბილისის მერს წაუყენო ბრალი სამართლებრივი დოკუმენტის კანონშეუსაბამო გამოცემის თაობაზე, მაშინ როდესაც მასზე საბოლოო დასკვნა გაცემული აქვს იუსტიციის სამინისტროს. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ არჩევნებისთვის მეორე ტურისთვის მზადება დავით ნარმანიასგან და „ქართული ოცნებისგან“ კვლავ საგამოძიებო ორგანოებს გადაეცა ამომრჩევლების შეცდომაში შეყვანის მიზნით, საქმე გვაქვს პოლიტიკურ დევნასთან“, – განაცხადა აბესაძემ. (რეპორტიორი)

## „ქართულ პოლიტიკაში, საინტერესო და გამომწვევი სიმპტომები გაჩნდა“

„ახალი მემარჯვენეების“ გენერალური მდივნის, მამუკა კაციტაძის განცხადებით, „2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, ნამდვილად ვერ ჩაითვლება იმედისმომცემ არჩევნებდა, გინდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოვაწეროთ ხელი და გინდა ნატოსგან მაპ-ზე უკეთესი მივიღოთ. ასეთი არჩევნებით, საქართველო წინ ნამდვილად ვერ წავა.

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, აშკარად უცოდინრობით გაკეთებული არჩევნები იყო, ეტყობოდა არჩევნების არცოდნის უხეში ხელი და რიგი პოლიტიკური პარტიების საწინააღმდეგოდ იყო გამიზნული. მიუხედავად ყველაფრისა, ცხოვრება გრძელდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქართულ პოლიტიკაში საინტერესო და გამომწვევი სიმპტომები გაჩნდა. ვგულისხმობ იმ ფაქტს, რომლის მიხედვითაც სხვა პოლიტიკურ ძალებსაც დაუფიქსირდათ გარკვეული მხარდაჭერა“, – განაცხადა კაციტაძემ. (რეპორტიორი)



„ქრონიკასთან“ ინტერვიუში არჩევნებამდე ორი კვირით ადრე ვალერი გელბახიანი დაბეჯითებით აცხადებდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ დაიწყებოდა ტოტალური დაჭერები. პირველი, ვისაც მიადგებოდნენ, ეს იქნებოდა გიგი უგულავა, შემდეგი სამიზნე კი უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი გიგი ბოკერიაა, რომლის საქმეც, სხვათა შორის, პროკურატურაში გასაიდუმლოებულია და გრიფი „საიდუმლო“ ადევს. შესაბამისად, უგულავას საქმისგან განსხვავებით ბოკერიას საქმესთან წვდომა არ აქვს. შეგახსენებთ, რომ ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის გიგა ბოკერიას მისამართით განაცხადა, რომ მას გადაცდომები ჰქონდა ან უგულავას დაიჭერენ, ან ხელისუფლებას შეექმნება პრობლემები. ჩვენ ვხედავთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არ დაშლილა და არც ქმედითუნარიანობა არ დაუკარგავს. ის იკრებს ძალებს და ძლიერდება. ამ პარტიის მოქმედი ლიდერები დაუსჯელად დადიან. ყველა არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობა“ აფიქსირებს თავის მონაცემებს. ეს ნიშნავს, რომ ამ პარტიის ლიდერები წარმატებით მუშაობენ. ხელისუფლებას კი ამ შემთხვევაში უდგას „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების პრობლემა. ეს ლიდერები გახლავთ გიგი უგულავა, უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი გიგა ბოკერია და დანარჩენი რამდენიმე ლიდერი, მაგრამ ეს ორი გვარ-სახელი ამ პარტიის მმართველი ლიდერია, რომელთა იზოლაციამაც შესაძლოა, გამოიწვიოს „ნაცმოძრაობის“ პარტიული რღვევა და ამ პარტიის კიდევ მეტი დისკრიმინაცია.

**— გიგი უგულავას დაჭერამდე რა სცენარით წავა მოვლენები?**

– უგულავას დაკავებამდე დაიჭერენ რამ-

**მათ ყოფილ ბოსებს?**

– საბოლოოდ გატყდება სასამართლო, ამ ეტაპზე მაინც პოლიტიკური დევნის სუნი უდის ამ საქმეს, „ნაციონალებს“ აქვთ თავისი ტელევიზია, ჰყავთ მხარდამჭერებიც, ამიტომ ისინი ახერხებენ საზოგადოებრივი აზრის შექმნას და საერთაშორისო მხარდაჭერას, მაგრამ როდემდე? დამერწმუნეთ, რომ ისინიც გატყდებიან და ერთ მშვენიერ დღეს, როცა მათ დაპატიმრებაზე გასცემენ სანქციას, საერთაშორისო მხარდაჭერაც ასეთი ძლიერი არ ექნებათ, რადგან დარწმუნდებიან, რომ კონკრეტულ საქმეში მათ ბრალი მიუძღვით.

**— კანცელარიასთან „ნაციონალური მოძრაობის“ აქცია გაიმართა, ჩვენ ვნახეთ, რომ მათ თავისი აქტივისტები იხმეს, პანიკაში არიან და ცდილობენ, პოლიტიკური დევნილის მანტია მოირგონ. როგორ ფიქრობთ, „ნაცმოძრაობის“ აქციები ორგანიზებულ ხასიათს მიიღებს?**

*გაგრძელება მეათე გვერდზე*

# ვალერი გელბახიანი: „უგულავას დაკავებამდე რამდენიმე პიროვნებას დაიჭერენ“

**„ასეთივე მეთოდი ამუშავდება გიგა ბოკერიას მიმართ, შეაგროვებენ მტკიცებულებებს, დააკავებენ რამდენიმე პიროვნებას, რათა აღარ დადგეს გიგა ბოკერიას დაჭერის პრობლემა“**

ხარჯვით ნაწილში. მეტიც, მისი გაფლანგული თანხებით შოკში ჩავარდა, როცა ნახა, რა თანხებს „ისროდა“ ბოკერია ლობისტური კომპანიებისთვის, რომელიც, ფაქტობრივად, არამიზნობრივი და ფუჭი იყო.

**გთავაზობთ ინტერვიუს იურისტ ვალერი გელბახიანთან:**

**— ბატონო ვალერი, თქვენმა პროგნოზმა გაამართლა, გიგი უგულავას მიმართ კიდევ ახალი საქმე დაიწყო, თუმცა ჯერჯერობით მას არავინ აპატიმრებს. შეძლებს კი პროკურატურა სასამართლო დაარწმუნოს, შეუფარდონ მას აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა?..**

– რადგან ორჯერ არ შეუფარდა სასამართლომ აღმკვეთი ღონისძიებით პატიმრობა, როგორც ჩანს, რისკზე არ წავიდა პროკურატურა და კიდევ უფრო დაუმძიმა, თუმცა დაველოდოთ, ნუ ვიჩქარებთ, კიდევ იქნება ახალი ბრალდება უგულავას წინააღმდეგ და გარწმუნებთ, რომ, საბოლოო ჯამში, უგულავას მაინც დაიჭერენ, რადგან ამოცანა დგას ასე, – დენიმე პიროვნებას იმისთვის, რომ მტკიცებულებები გამყარდეს. ასეთივე მეთოდი ამუშავდება გიგა ბოკერიას მიმართ, შეაგროვებენ მტკიცებულებებს, დააკავებენ რამდენიმე პიროვნებას, რათა აღარ დადგეს გიგა ბოკერიას დაჭერის პრობლემა, რათა სასამართლომ თავისუფლად გამოიტანოს აღმკვეთ ღონისძიებად მათ მიმართ პატიმრობა.

**— როგორ ფიქრობთ, სასამართლო გაწირავს**

„ჩვენ ვხედავთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არ დაშლილა და არც ქმედითუნარიანობა არ დაუკარგავს. ის იკრებს ძალებს და ძლიერდება. ამ პარტიის მოქმედი ლიდერები დაუსჯელად დადიან. ყველა არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობა“ აფიქსირებს თავის მონაცემებს. ეს ნიშნავს, რომ ამ პარტიის ლიდერები წარმატებით მუშაობენ“



**„უგულავას დაკავებამდე დაიჭერენ რამდენიმე პიროვნებას იმისთვის, რომ მტკიცებულებები გამყარდეს. ასეთივე მეთოდი ამუშავდება გიგა ბოკერიას მიმართ, შეაგროვებენ მტკიცებულებებს, დააკავებენ რამდენიმე პიროვნებას, რათა აღარ დადგეს გიგა ბოკერიას დაჭერის პრობლემა, რათა სასამართლომ თავისუფლად გამოიტანოს მათ მიმართ აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნაცმოძრაობამ“ კანცელარიასთან აქცია ჩაატარა



აქციაზე სიტყვით გამოვიდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები. პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, დეპუტატ გოკა გაბაშვილის განცხადებით:

„მთავრობა მიდის უკანსვლით, დაკავებულია ოპონენტების დევნით. სირცხვილია, როდესაც საქართველოს მთავრობა იქცევა ასე. ჰაკიმ ფაშა ხვდება ჩვენს მეგობარ სახელმწიფო წარმომადგენელს, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრ, კარლ ბილდტს. ჩვენ მას მივესალმებით. საქართველოს მთავრობის მეთაურს უნდა რცხვენოდეს იმის, რომ იდევნება მთავარი ოპოზიციური ძალა“.

სიტყვით გამოვიდა ასევე დავით ბაქრაძე:

„ევროპასთან დაახლოებას სწორედ ჩვენ ჩავუყარეთ საფუძველი. ამიტომ ჩვენ გვსურს ნორმალურ, დამშვიდებულ ქვეყანაში ცხოვრება. არ უნდა ხდებოდეს ჩვენი მხარდამჭერების დაკითხვაზე ყოველდღიურად ტარება. მთავრობა მოსახლეობის პრობლემების გადაწყვეტით უნდა იყოს დაკავებული და არა „ნაციონალური მოძრაობის“ დევნით“, – განაცხადა ბაქრაძემ.

სიტყვით გამოვიდა თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა. მან აქციის მონაწილეებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ხელისუფლება პოლიტიკურად მომაკვდავი ნარმანიას გადარჩენით არის დაკავებული. „ჩემთვის დაკითხვაზე სიარული პრობლემას არ წარმოადგენს. ყოველდღე მივალ, მათ თუ ეს გაუხარდებათ და ამით საქმე გაკეთდება, ჩვენ უკან არ დავიხევთ და ბოლომდე ვიბრძოლებთ“, – განაცხადა უგულავამ. (ინტერპრესნიუსი)

## კახა კუკავას განცხადება ტყუილი აღმოჩნდა?



„ფაქტ-მეტრმა“ გასულ კვირას თბილისის მერობის კანდიდატის, კახა კუკავას განცხადება გადაამოწმა, რომელიც ტყუილი აღმოჩნდა.

„ფაქტ-მეტრის“ ცნობით, წინასაარჩევნო დებატებისას კოალიცია „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატმა დავით ნარმანიამ განაცხადა, რომ სოფლის მეურნეობის პროგრამით ახალი საწარმოები გაიხსნა. კახა კუკავამ უარყო ნარმანიას განცხადება და დასძინა, რომ ამ პროგრამით არც ერთი ახალი საწარმო არ გახსნილა.

„ფაქტ-მეტრმა“ აღნიშნული ფაქტი გადაამოწმა. გაირკვა, რომ „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ერთი წლის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიშის მიხედვით, 2014 წლის 4 აპრილის მონაცემებით, პროექტის ფარგლებში, საქართველოს ყველა რეგიონში, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში უკვე გაცემულია 318 000 000 ლარის ოდენობის, 14 100 შეღავათიანი აგროკრედიტი. ერთი წლის მანძილზე 70 ახალი და 400-ზე მეტი უკვე არსებული საწარმოს გაფართოება-გადაიარაღება დაფინანსდა.

გასული წლის ოქტომბერში, „ფაქტ-მეტრმა“ იმ დროისთვის საჯარო რეესტრში, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში დაფინანსებული თითქმის ყველა საწარმოს რეგისტრაციის თარიღი გადაამოწმა. 2013 წლის ოქტომბრის მონაცემით, ამ პროექტის ფარგლებში 49 საწარმო იყო დაფინანსებული. 17 ამ საწარმოებიდან 2012-2013 წლებში რეგისტრირებული აღმოჩნდა, დანარჩენი 32 კი – წინა წლებში. 17-მა საწარმომ საქმიანობა შეღავათიანი აგროკრედიტის მიღების შედეგად წამოიწყო, ე.ი. 17 ახალი საწარმო გაიხსნა.

მათ ასევე გააანალიზეს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ოფიციალური მონაცემები ახლად გახსნილი საწარმოების შესახებ. ამ მონაცემის მიხედვითაც რამდენიმე საწარმო „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აღმოჩნდა გახსნილი.

გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ ყველა საწარმო შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ამოქმედების შემდეგ (ე.ი. არა 2013 წელს) არ არის შექმნილი, არ ნიშნავს, რომ ამ საწარმოების მიერ განხორციელებული საქმიანობა არ შეიძლება ჩაითვალოს სტარტ-უპ-ად, ვინაიდან სტარტ-უპ აუცილებლად ახლად რეგისტრირებულ საწარმოს არ ნიშნავს. საწარმო შეიძლება არსებობდა, მაგრამ მან აღებული კრედიტის საშუალებით წამოიწყო ახალი საქმე. ანუ, საწარმო შეიძლება იყოს წლების წინათ დარეგისტრირებული, მაგრამ მისი საქმიანობა იყოს ახალი. ამ გარემოებების გათვალისწინებით, „ფაქტ-მეტრმა“ დაასკვნა, რომ კახა კუკავას განცხადება არის ტყუილი. (ინტერპრესნიუსი)

*მეცხრე გვერდიდან*

(მეცხრე გვერდიდან)

– თუ „ნაცმოძრაობის“ ლიდერებმა იპოვეს პარტნიორები, მათ აქციებს მიეცემათ ორგანიზებული ხასიათი. თუმცა ქუჩაში გამოსვლები ამ ორი ლიდერის – უგულავასა და ბოკერიას დაკავებით არ დაიწყება. „ნაცმოძრაობა“ ცხრათავიანი გველეშაპივითაა, ერთ თავს რომ წააჭრი, მეორე ამოდის. თუ „ნაცმოძრაობას“ აქვს ჩანაფიქრი, რომ 4 წელიწადში დაბრუნდება, გიგი უგულავა ქვეყნიდან არ გაიქცევა. მისი დაპატიმრება შეიძლება მომგებიანიც კი აღმოჩნდეს. დარწმუნებული იყავით, რომ „ნაცმოძრაობა“ ეძებს დაბრუნების პერსპექტივას, ყველაფრისთვის მზად არიან. ნუ მკითხავთ, რა რესურსით, გიპასუხებთ, რომ უნივერსიტეტებში სტუდენტების იდეოლოგიური ხელმძღვანელები არიან სააკაშვილის აქტიური მხარდამჭერები, ახალგაზრდა თაობა მზადდება სწორედ იმ იდეოლოგიის ბაზაზე, რაც სააკაშვილის ხელისუფლების დროს იყო უმთავრესი, ეს იყო დასავლური პრინციპი.

უფრო გლობალურად რომ ვიმსჯელოთ, ერთი რამ ცხადია. აზერბაიჯანი ისეთ პოლიტიკურ ჩიხში შეიყვანა დღეს რუსეთმა, რომ მას სჭირდება რადიკალურად ანტირუსული ხელისუფლება საქართველოში, რათა აზერბაიჯანს მოუხსნას პრობლემები. ასე რომ, აზერბაიჯანის ინტერესშიც შედის გზა გაუხსნას საქართველოში ისეთ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც ანტირუსული იდეოლოგიით გამოირჩევიან. რაც შეეხება უკრაინას, იქ მოვიდა ისეთი ხელისუფლება, რომლის დამოკიდებულება რუსეთთან არის აგრესიული. სააკაშვილმა ყველგან იპოვა პოლიტიკური საყრდენები, ფაქტობრივად, უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველია.



**„სააკაშვილი ეძახის ყველას უკრაინაში, საქართველოში მოღვაწე ბიზნესმენებს, ყოფილ ჩინოვნიკებს და მათ ჰპირდება, რომ ნებისმიერ საქმეში დაეხმარება და ააწყობინებს უკრაინაში ბიზნესს, დააწყებინებს ნებისმიერ სტრუქტურაში მუშაობას, მისი ხელისუფლების დროს ვინც კი რაიმეს წარმოადგენდა, ცდილობს, ყველა უკრაინაში წაიყვანოს. მისი მიზანია, რაც შეიძლება მეტი თანამებრძოლი გაიჩინოს“**

ერთ სკანდალურ ინფორმაციას მოგაწვდით, – სააკაშვილი ეძახის ყველას უკრაინაში, საქართველოში მოღვაწე ბიზნესმენებს, ყოფილ ჩინოვნიკებს და მათ ჰპირდება, რომ ნებისმიერ საქმეში დაეხმარება და ააწყობინებს უკრაინაში ბიზნესს, დააწყებინებს ნებისმიერ სტრუქტურაში მუშაობას, მისი ხელისუფლების დროს ვინც კი რაიმეს წარმოადგენდა, ცდილობს, ყველა უკრაინაში წაიყვანოს. მისი მიზანია, რაც შეიძლება მეტი თანამებრძოლი გაიჩინოს, დაასაქმოს უკრაინაში, მოტივაცია მისცეს იმისთვის, რომ უკრაინაში ნაშოვნმა ფულმა გადმოინაცვლოს საქართველოში. ამას სააკაშვილი გეგმაზომიერად გააკეთებს, რათა ფინანსურად გააძლიეროს თავისი პოლიტიკური პარტია და ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც სამომავლოდ კოალიციურ ფორმატში „ნაცმოძრაობასთან“ ითანამშრომლებენ. არც ის არის გამორიცხული, რომ მათ 2016 წლის არჩევნებამდე დააჩქარონ საქართველოში ხელისუფლების ცვლა.



**„საბოლოოდ გატყდება სასამართლო, ამ ეტაპზე მაინც პოლიტიკური დევნის სუნი უდის ამ საქმეს, „ნაციონალებს“ აქვთ თავისი ტელევიზია, ჰყავთ მხარდამჭერებიც, ამიტომ ისინი ახერხებენ საზოგადოებრივი აზრის შექმნას და საერთაშორისო მხარდაჭერას, მაგრამ როდემდე? დამერწმუნეთ, რომ ისინიც გატყდებიან“**

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „მასტერა“ დაკავებულია



ინტერპოლის მიერ ძებნილი კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსანი გიორგი დგებუაძე, იგივე „მასტერა“, დაკავებულია. მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის ირაკლი ჩილინგარაშვილის განცხადებით, „დგებუაძე ქართველი სამართალდამცველების მოთხოვნით ნიდერლანდების სამეფოში 19 ივნისს დააკავეს. შესაბამისი დოკუმენტაცია უკვე გაგზავნილია და დაწყებულია მისი საქართველოში ექსტრადიციის საკითხი“.

შეგახსენებთ, რომ დათა ახალაიას „მარჯვენა ხელმა“, გიორგი დგებუაძემ საქართველო 2012 წლის არჩევნების შემდეგ დათა ახალაიასთან ერთად დატოვა. საქართველოს მთავარ პროკურატურაში გამოძიება გიორგი დგებუაძის საქმეზე 2013 წელს დასრულდა. გიორგი დგებუაძეს, იგივე „მასტერას“, ბრალად ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და წამების ორგანიზება. დგებუაძე ასევე ფიგურირებს რეინჯერ დავით ცინდელიანის, თავდაცვის სამინისტროს მზვერავის პაატა ქარდავასა და ბათუმელი მზვერავის როინ შავაძის მკვლელობის საქმეში. „მასტერა“ საზოგადოებისთვის ცნობილია, როგორც „ზონდერ“ ჯგუფების ხელმძღვანელი. (kvira.ge)

## პირველკლასელები თანამედროვე, პატარა ზომის კომპიუტერებს მიიღებენ



საჯარო სკოლების პირველკლასელები წელს თანამედროვე პატარა ზომის კომპიუტერებს მიიღებენ. განათლებისა და მეცნიერების მინისტრ, თამარ სანიკიძის განცხადებით, უკვე დასრულდა მუშაობა პირველკლასელთათვის გადასაცემ ტექნიკაზე – ეს არის ჩვეულებრივი თანამედროვე, პატარა ზომის, შესაბამისი წონის კომპიუტერი. აღნიშნული კომპიუტერები ქართული წარმოების არ არის და INTEL-ის პროცესორზეა აწყობილი.

„ტექნიკა, რომელსაც ჩვენ შევთავაზებთ წელს პირველკლასელებს, იქნება თვისობრივად ახალი, გაუმჯობესებული, რაც საშუალებას მისცემს ჩვენს პირველკლასელებს, რომ საგანმანათლებლო პროცესში სრულიად თანამედროვე და ახალი ტექნიკის გამოყენებით იმუშაონ. ტექნიკა გაუმჯობესებულია პარამეტრებითა და მახასიათებლებით, ასევე გაუმჯობესებულია საგანმანათლებლო მასალა, რომელიც ჩაიტვირთება და, რომლის მიხედვითაც ბავშვები სკოლაში იმეცადინებენ“, – აღნიშნა სანიკიძემ.

ახალი კომპიუტერები საჯარო სკოლების პირველკლასელებს უფასოდ გადაეცემათ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „სითი პარკთან“ დაკავშირებით სამართლებრივი საკითხები აქამდეც უნდა დამდგარიყო“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, გედევან ფოფხაძე სისხლის სამართლის პასუხისგებაში გიგი უგულავას მიცემის საკითხს გამოეხმაურა. დეპუტატის აზრით, თუ ადამიანი რაიმეს დააშავებს, არ შეიძლება მისი პასუხისგებაში მიცემის თავიდან აცილება პოლიტიკური კონიუნქტურის გამო.

„რაც ეხება კონკრეტულად გიგი უგულავასა და მის მიერ გაკეთებულ განცხადებას, ამით შეურაცხყოფას მხოლოდ პოლიტიკურ ოპონენტებს კი არა, ხალხს აყენებს. ვერ ვხვდები, რა საჭიროა ასეთი ცინიზმი და გამომწვევი განცხადებების კეთება მაშინ, როდესაც საზოგადოებას უბრალოდ უნდა სამართლიანობის აღდგენა... „სითი პარკმა“ მორალურად და ფინანსურად დააზარალა ყველა ის მოქალაქე, ვისაც კი რაიმე სახით შეხება ჰქონია ამ კომპანიასთან, ამასთანავე, მილიონობით ზარალი აქვს მიყენებული ბიუჯეტისთვის, თბილისისთვის... ბევრი ადამიანი ამაზე ნაკლები დანაშაულისთვის იხდის სასჯელს, არ ვამბობ, რომ ისინი არ უნდა აგებდნენ პასუხს, მაგრამ ასეთი დანაშაულისთვის რატომ არ უნდა მიეცეს პირი პასუხისგებაში, გაუგებარია. არ მინდა უდანაშაულობის პრეზუმფცია დავარღვიო. გიგი უგულავამ სასამართლოში უნდა დაამტკიცოს საკუთარი უდანაშაულობა. ზოგადად, როცა ჩინოვნიკი ასეთ ხელშეკრულებას აწერს ხელს, ის დაუსჯელი არ უნდა დარჩეს. მიკვირს, რატომ უკავშირებენ „სითი პარკის“ საკითხს არჩევნებს. ჩემი აზრით, ამ კომპანიასთან დაკავშირებით აქამდეც უნდა მომხდარიყო სამართლებრივი საკითხების დაყენება“, – აღნიშნავს ფოფხაძე. (რეპორტიორი)

## გიორგი გუგავა: „ჭორვილის ოფშორული ზონიდან მართავს ამ ქვეყანას“



თბილისის საქალაქო სასამართლომ „ლეიბორისტული პარტიის“ სარჩელი არ დააკმაყოფილა. საქმე ეხება თბილისის შემაჯამებელ ოქმს, რომელიც, გიორგი გუგავას თქმით, ცესკომ დარღვევით შეადგინა. მისივე თქმით, პარტიამ ოქმების გამოთხოვის შუამდგომლობაც დააყენა, რაც სასამართლომ ასევე არ დაკმაყოფილა.

„სამწუხაროდ, სასამართლო, ისევე როგორც ცესკო, ექვემდებარება ხელისუფლების დიქტატს, კონკრეტულად ერთი პიროვნების დიქტატს, რომელიც ჭორვილის ოფშორული ზონიდან მართავს ამ ქვეყანას და რომლის მიერ გაცემული იყო ბრძანება, მომხდარიყო ამ არჩევნების ტოტალური გაყალბება, მომხდარიყო ხმების ჩაყრა „ოცნებისთვის“, მომხდარიყო ჩვენი პარტიისთვის შედეგების გაყალბება“, – განაცხადა გუგავამ. (პირველი რადიო)

## ნიკო ფიროსმანის საფლავს მიაკვლიეს?



ისტორიკოსები დაბეჯითებულ ვარაუდს გამოთქვამენ, რომ ქართველი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის საფლავს კუკიის სასაფლაოზე მიაკვლიეს.

ექსპერტების ჯგუფმა კუკიის სასაფლაოზე პირველადი სამუშაოები ჩაატარა. ადგილზე სპეციალისტების მობილიზება კი მას შემდეგ განხორციელდა, რაც ერთ-ერთ საფლავთან შემთხვევით ქვის ფრაგმენტი აღმოაჩინეს, წარწერით „უფალო, შეიწყალე ნიკალა“.

„ეს სამი სიტყვა ძალიან მკვეთრ მინიშნებას გვაძლევს. მიცვალებულის გვარის გარეშე მოხსენიება იშვიათია საფლავის ქვებზე. აქაც თავად ფიროსმანის თავისებურებებიდან გამომდინარეა ეს ყველაფერი“, – განაცხადა ისტორიკოსმა ამირან არაბულმა.

ადგილზე უკვე იმყოფებოდა კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია. მისი თქმით, საკითხზე კულტურის სამინისტროში იმსჯელებენ და შეიქმნება ჯგუფი, რომელიც ამ თემაზე იმუშავებს.

„საბოლოო დასკვნისთვის საჭირო იქნება კვლევა. არქეოლოგია უნდა ჩატარდეს, ქვა უნდა იქნას შესწავლილი. როგორც მეგობრები მეტყვიან, ისე მოვიქცევი. შეიქმნება ჯგუფი, რომელიც ამ ყველაფერს შეისწავლის და რაც დასჭირდება ამ ჯგუფს – უახლესი ტექნიკა, საფლავის სკანირება, ნებისმიერი რამ, ჩვენ მზად ვართ ამ ნაბიჯებისთვის“, – განაცხადა ოდიშარია.

რაც შეეხება წარწერიან ქვას, ის შემთხვევით „პირველი არხის“ ჟურნალისტმა აღმოაჩინა. ის იმყოფებოდა მშობლების საფლავზე და მისი ყურადღება ძველმა საფლავმა მიიპყრო.

ცნობისთვის, დღემდე მხატვრის განსასვენებელი ადგილის სავარაუდო ადგილმდებარეობებს შორის კუკიას სასაფლაო და პეტრე-პავლეს ტაძრის მიმდებარე ტერიტორია მიიჩნევა. (ფრონტნიუსი)

## ჭიკაანში მამაკაცს მეხი დაეცა



კახეთში, სოფელ ჭიკაანში 54 წლის მამაკაცს მეხი დაეცა. უბედური შემთხვევა მაშინ მოხდა, როცა მამაკაცი მინდორში საქონელს მწყემსავდა. თვითმხილველების განცხადებით, მამაკაცმა ძლიერი წვიმისას თავი ხეს შეაფარა, რა დროსაც მეხი დაეცა. (პირველი რადიო)



# რატომ არ ითვალისწინებს „ოცნების“ ხელისუფლება პატრიარქის მოწოდებებს?

საქართველოს ხელისუფლება კიდევ ერთხელ დაუპირისპირდა საპატრიარქოს. საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელსაც მიხეილ სააკაშვილის ძმაკაცი, გიორგი პაპუაშვილი თავკაცობს, არაკონსტიტუციურად მიიჩნია ნორმა, რომლის მიხედვითაც, პარლამენტმა უცხოელებისთვის მიწების მიყიდვაზე მორატორიუმი გამოაცხადა. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ილია მეორე, საკვირაო ქადაგებაში შეეხო მიწების ყიდვა-გაყიდვაზე დაწესებულ მორატორიუმს და აღნიშნა, რომ ისეთი ფასეულობების გაყიდვა არ შეიძლება, როგორიცაა მიწა, წყალი, წყაროს წყალი, მდინარე და საბადოები. პატრიარქმა ხელისუფლებას მოუწოდა, ყურადღება მიაქციოს ამ საკითხს.

საქართველოს ხელისუფლება კი დიდი ხანია, ქართული ეკლესიის იგნორირების რეჟიმშია გადასული. „ქართულმა ოცნებამ“ 2012 წლის არჩევნებში გამარჯვება ეკლესიის დიდი მხარდაჭერით მოიპოვა, წინასაარჩევნოდ ის პოლიტიკოსები, დღეს ხელისუფლებაში რომ მეტიც, საპატრიარქოს არც ერთი მოწოდება არ გაითვალისწინა ხელისუფლებამ. იმავე პატრიარქმა მოუწოდა ხელისუფალთ, ე.წ. ინ ვიტრო განაყოფიერების აკრძალვის შესახებ ემსჯელათ და შესაბამისი კანონი მოეღოთ, რათა ხელოვნურად დაბადებული ბავშვების უცხოეთში გაყიდვა შეჩერებულიყო. ამაზე ყური დღემდე არავის შეუბერტყავს. „აიდი“ ბარათების საკითხზე დღემდე კატეგორიულია საპატრიარქო, მიაჩნია, რომ ის მხეცის ნიშანს ატარებს და ხელისუფლებას არაერთხელ სთხოვა, ხალხისთვის დაეტოვებინა არჩევანი – ვისაც „აიდი“ ბარათის აღება არ სურთ, მათ ჩვეულებრივი პირადობის მოწმობები აიღონო. ახლად გამინისტრებული თეა წულუკიანი აცხადებდა, კი, ეგრე იქნება, ხალხს ამ არჩევანის უფლებას დავუტოვებთო. დღეს კი, იუსტიციის მინისტრი გვიმტკიცებს, ეს ბარათები საფრთხეს არ შეიცავს და ყველამ უნდა აიღოსო. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება სხვა არაფერი იყო, თუ არა ხელისუფლებისა და ეკლესიის დაპირისპირება, მაგრამ ეს კანონიც ისე მიიღეს, რომ კონსტანტინეპოლის პატრიარქთან შეხვედრაზე წასული კათალიკოს-პატრიარქის ჩამოსვლასაც არ დაელოდნენ. არადა, ამას კატეგორიულად ითხოვდა საპატრიარქო.

„ქართული ოცნების“ დამოკიდებულება საპატრიარქოს მიმართ, რიგ შემთხვევებში, „ნაცმოძრაობის“ დამოკიდებულებისგან არაფრით განსხვავდება. „ნაციონალებმაც“ ქართული ეკლესიის ინტერესთა უგულებელყოფით დაიწყეს და მერე ღია ბრძოლაზე გადავიდნენ. მოკლედ, ქართული ეკლესია ჩვენი პოლიტიკოსებისთვის მხოლოდ მიზნის მიღწევის საშუალება იყო და დღესაც ასეა.

რატომ არ ითვალისწინებს „ოცნების“ ხელისუფლება პატრიარქის მოწოდებებს?

**„ალიას“ გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი ესაუბრება:**

**— ქალბატონო ნანა, უკვე მერამდენედ „გადააგდო“ ხელისუფლებამ საპატრიარქო. საით მიექანებიან ესენი? მგონი, „ნაციონალებივით“ ესენიც ფიქრობენ, რომ თავი საშვილიშვილოდ ქუდში აქვთ, მუდამ ესენი იქნებიან ხელისუფლებაში და ქართული ეკლესიისა და ხალხის მხარდაჭერა არასდროს დასჭირდებათ.**

– ხალხის აზრის უგულებელყოფამ, ისეთმა საქციელმა, რასაც უნდოდათ, იმას რომ აკეთებდნენ, ბევრი არაფერი მოაგებინა „ნაცმოძრაობას“ და არც ამათ მოუტანს კარგს არაფერს. ზუსტად იმავე მეთოდით მართავს ქვეყანას „ქართული ოცნებაც“.

**— „ქართული ოცნების“ ლიდერები ხელისუფლებაში მოსვლამდე კამერების თანხლებით წირვას არ აცდენდნენ. ეს ფარისევლობა ქართულ პოლიტიკაში არ უნდა დასრულდეს?**

არიან და თავიანთი გაინაღდეს, ეფექტურად მანიპულირებდნენ მართლმადიდებლური თემებით, ხალხს ყველა იმ დანაშაულის გამოძიებას ჰპირდებოდნენ, რაც „ნაცმოძრაობამ“ ქართულ ეკლესიას მიაყენა, ფარისევლურად, ტელეკამერების წინ, წირვა-ლოცვას არ აკლდებოდნენ და ხალხს დიდ მორწმუნეებად აჩვენებდნენ თავს. დიახ, დღეს მავანთ რომ დეპუტატები და მინისტრები ჰქვიათ, ეს სწორედ ქართული ეკლესიისა და მისი მრევლის – ასეულ ათასობით ამომრჩევლის დამსახურებაა, მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ერთი დაპირება არ შეუსრულებიათ იქიდან, რასაც მრევლს ჰპირდებოდნენ.

*გაგრძელება მეთორმეტე გვერდზე*



**„ნაცმოძრაობა“ როცა ეკლესიებს ანგრევდა, როცა ათას საშინელებას სჩადიოდა ქართული ეკლესიის წინააღმდეგ, ერთი საპროტესტო განცხადება არ გაუკეთებიათ ამ ადამიანებს. დღეს ხელისუფლებას სრულად აკონტროლებენ ის ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მართლმადიდებლობა არის პრობლემა და მის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „უგულავამ მეუღლე საზღვარგარეთ გაუშვა და თვითონაც წასვლას აპირებდა“



პარლამენტის წევრის ალექსანდრე ქანთარიას ინფორმაციით, გიგი უგულავას დაპატიმრება ამ ეტაპისთვის არ იგეგმება.

„რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გიგი უგულავა აპირებდა ქვეყნიდან გასვლას და წინა დღით მეუღლეც გაუშვა საზღვარგარეთ. ალბათ, ამ ყველაფერმა განაპირობა, რომ ის დაკითხვაზე დაიბარეს.

„ნაციონალები“ ყველაფერზე ლაპარაკობენ. მათი დღის განრიგით რომ იმუშაოს ხელისუფლებამ, საგამოძიებო ორგანოებმა ან პარლამენტმა, არა მგონია, ამან ქვეყანას სიკეთე მოუტანოს“, – აღნიშნა ქანთარიამ. (რეპორტიორი)

## „ქართულმა ოცნებამ“ ვერ მოახერხა, დამნაშავეების ისე დასჯა, რომ...“



„ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობს, გიგი უგულავას საკითხი პოლიტიკური ნიშნით დევნას დაუკავშიროს. ეს მათი პოლიტიკური ტაქტიკაა, ამით ცდილობენ თავის მართლებას“.

ასე გამოეხმაურა კოალიცია „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ახვლედიანი, დედაქალაქის ყოფილი მერის, გიგი უგულავას სასამართლოში დაბარების საკითხს.

მისი თქმით, „ყველაზე სასაცილო ის არის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მიუხედავად იმისა, რომ ორი წელიწადია ხელისუფლებაშია, ვერ მოახერხა, დამნაშავეების ისე დასჯა, რომ ამას „ნაციონალების“ მხრიდან პოლიტიკური მანიპულირება არ მოჰყვეს. პრაქტიკულად, ისე აკეთებენ ყველაფერს, რომ მსუყე საშუალება მისცენ სალაპარაკოდ ამ პოლიტიკურ ძალას“. (რეპორტიორი)

## ახმეტაში კორუფციული სქემა აღმოაჩინეს




არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდული ცენტრის“ ხელმძღვანელი ზურაბ ქადაგიძე, ახმეტაში აღმოჩენილ კორუფციულ სქემაზე საუბრობს.

საქმე ეხება პეტრე ცისკარიშვილს, რომლის გუბერნატორობის პერიოდშიც, ახმეტაში თუშური ცხვრის ჯიშთსაშენი დაფუძნდა.

„ამ შპს-ზე, 2006 წლიდან ეტაპობრივად საკუთრებაში გადადიოდა მიწები, ტბები, ფერმები... დღეისთვის მასზე გაფორმებულია ათასობით მიწის ნაკვეთი. დღეს ახმეტაში გლეხს არ აქვს იმის საშუალება, რომ მიწის წარმოება განახორციელოს. არსებობს მხოლოდ ერთი ფეოდალური შპს, რომელიც ყველაფერს განაგებს.

შპს-ს ოფიციალური დირექტორია ნარგიზა ილურიძე, ალექსი გოჩილაიძის მეუღლე. ალექსი გოჩილაიძე გახლავთ ახმეტაში პეტრე ცისკარიშვილის მარჯვენა ხელი, რომელიც წლების განმავლობაში ახმეტის მუნიციპალიტეტში მუშაობდა. ჩვენი ინფორმაციით, ეს პიროვნებები ამ შპს-ს საკუთრებაში გადაფორმებას აპირებენ, რაც ყოვლად დაუშვებელია. მოვითხოვთ ამ შპს-ს ფინანსური საქმიანობა იქნას შესწავლილი“, – განაცხადა ქადაგიძემ. (რეპორტიორი)

## „ნაცმოძრაობა“ უნდა მიეჩვიოს, რომ ჩადენილი საქციელებისთვის პასუხისგება მოუწევს!




საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, გუგული მაღრაძის განცხადებით, გიგი უგულავამ საგამოძიებო უწყებებთან აუცილებლად უნდა ითანამშრომლოს.

„უგულავა ვალდებულია, კანონს დაემორჩილოს. მან უნდა ითანამშრომლოს გამოძიებასთან. ევროპულ სტრუქტურებთან მიახლოება, ამასაც ნიშნავს. მსოფლიოში არსებობს პრეცედენტები, როცა ყოფილ პრეზიდენტებს, პრემიერ-მინისტრებსა და სხვა მაღალჩინოსნებს იბარებენ დაკითხვებზე, მაგრამ ამის გამო არავინ აწყობს აქციებს, მიდიან კეთილსინდისიერად და საგამოძიებო სტრუქტურებთან თანამშრომლობენ. „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა მიეჩვიოს, რომ მის მიერ ჩადენილი საქციელებისთვის პასუხისგება მოუწევთ.

ამიტომაც ყველა ის პოლიტიკოსი, რომლებიც ყოფილ ხელისუფლებას წარმოადგენდნენ და ევროპელობაზე ჰქონდათ პრეტენზია, მოიქცნენ ისე, როგორც ნამდვილ ევროპელებს შეეფერებათ“, – განაცხადა მაღრაძემ. (რეპორტიორი)

*მეთერთმეტე გვერდიდან*

– მე ვამბობ ხოლმე და ძალიან ცუდად ხვდებათ გულზე. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ „ნაცმოძრაობამ“ პირველ-მეორეზე გაითვალა და ზოგი უმცირესობაშია და ზოგი – უმრავლესობაში. ოღონდ, აქვე ხაზგასმით ვიტყვი, რომ ეს არ ეხება რამდენიმე ადამიანს, რომლებიც არასდროს ყოფილან „ნაციონალების“ გვერდით.

„რესპუბლიკელების“ ეკლესიის მიმართ ანტიპათიური დამოკიდებულება ხომ ყველასთვის ცნობილია. კოალიციის დანარჩენ წევრებსაც შეხედეთ, თუნდაც, „თავისუფალ დემოკრატებს“. ჯერ „ნაციონალებთან“ იყვნენ, ახლა „ქართულ ოცნებაში“ არიან. „ნაცმოძრაობა“ როცა ეკლესიებს ანგრევდა, როცა ათას საშინელებას სჩადიოდა ქართული ეკლესიის წინააღმდეგ, ერთი საპროტესტო განცხადება არ გაუკეთებიათ ამ ადამიანებს. დღეს ხელისუფლებას სრულად აკონტროლებენ ის ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მართლმადიდებლობა არის პრობლემა და მის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო. ხომ არ გეცნობა ეს რიტორიკა?

**— კი, ეგ „ნაცმოძრაობის“ ლიდერების რიტორიკაა და ამით რაც მოიგეს, კი ვნახეთ. „ქართული ოცნება“ რაღას მოიგებს ეკლესიის იგნორირებითა და ბრძოლით? მათაც „ნაცების“ დღე მოელით?**

– „ქართული ოცნებაც“ „ნაციონალთა“ გზას ადგას, თანაც, ძალზე მტკიცედ და გადახვევას არც აპირებს. ამათ 9 და 10 წელი აღარ დასჭირდებათ, ასე თუ გააგრძელეს, ხალხი ძალიან მალე მოიცილებს. ეკლესიის წინააღმდეგ მიდის რამდენიმე ფრონტიდან ბრძოლა. ჯერ ერთი, გაუთავებელი ლაპარაკი ძვირადღირებულ „ჯიპებსა“ და სხვა ამგვარ თემებზე. ამას ვინც ლაპარაკობს, ყველა ძალიან მსუყედ იკვებებოდა ჩვენი ბიუჯეტიდანაც და უცხოური გრანტებითაც.

**— თავად პატრიარქის განცხადებას როგორ შეაფასებთ მიწებისა და ბუნებრივი რესურსების გაყიდვის აკრძალვის შესახებ? მცირემიწიანი ქვეყანა ვართ და ამათ თუ ასე გააგრძელეს, ჩვენი ადგილი მართლა აღარ დარჩება საქართველოში, უკვე გაივსო უცხოელებით ქვეყანა. თანაც, საუკეთესო მიწებს ისინი ფლობენ. ახლა, ამ მორატორიუმის გაუქმებით, ისევ მოაწყდებიან არაბები, ინდოელები და სხვები საქართველოს.**

– დღეს მიწების დაპყრობა აღარ ხდება შეიარაღებული გზით. ერთ დროს მეც ვამბობდი, რა მოხდა, უცხოელი თუ მიწას იყიდის, ზურგზე ხომ არ მოიკიდებს და თან ხომ არ წაიღებს-მეთქი. კი, ზურგზე მიწის მოკიდებაც შეიძლება, რადგან უცხოელები მიწას რომ ყიდულობენ, ნაყოფიერ ფენას ჭრიან, ის მიაქვთ უცხოეთში და ყიდიან. ნაყოფიერი ფენა რომ წარმოიშვას, ამას ათეულობით წელი სჭირდება. ის უცხოელი გიტოვებს გამოფიტულ მიწას. ვინც ამის ნებას აძლევს უცხოელებს, ის დამნაშავეა, ეს არის ქვეყნის მტრობა, ქვეყნის დაღუპვა და ამას ბევრი ლაპარაკი რად უნდა? რაც არ უნდა გულზე მჯიღი იცემ და პატრიოტული განცხადებები აკეთონ ხელისუფლების ლიდერებმა, ეს ერთი ფაქტიც საკმარისია, რომ მათი ერთი სიტყვაც კი არ დაიჯეროს ხალხმა. მთავრობაში რომ არაკომპეტენტური ხალხია, ესეც არის ამის მიზეზი, მაგრამ ეს კომპეტენტურიც რომ არ სჭირდებათ? არ ეძახიან არავის და ჭკუას არავის ეკითხებიან, თავისით ჭრიან და კერავენ ყველაფერს და რა გამოუდით, კი ვხედავთ. მიწა, წყალი და ბუნებრივი საბადოები არის საერთო სახალხო კუთვნილება და მათი გაყიდვა არ შეიძლება. არის რაღაც საერთო სიკეთეები, რომელთა გაყიდვის უფლებაც არავის აქვს.

**— ქალბატონო ნანა, წეღან ბრძანეთ, ქართულ ოცნებაში“ რამდენიმე დეპუტატია, რომლებიც „ნაციონალებთან“ არასდროს ყოფილანო. ვის გულისხმობდით?**

– ამ ხალხზეა გამუდმებით ლაპარაკი, რა უნდათ მსახიობებსა და სპორტსმენებს პარლამენტშიო. არადა, სწორედ ეს დეპუტატები არიან ხალხის ინტერესების დამცველნი – სოსო ჯაჭვლიანი, გოგი ქავთარაძე, გია ჟორჟოლიანი, ნუკრი ქანთარია... კიდევ არიან და არ მინდა ვინმე გამომრჩეს. ასევე, „მრეწველთა პარტიის“ წარმომადგენლები, რომლებიც, ასევე, ერთგულებენ ხალხის ინტერესებს.

**— ეს ადამიანები რატომ არ იღებენ ხმას იმ უმსგავსობის წინააღმდეგ, რასაც ხელისუფლება ეკლესიის მიმართ სჩადის?**

– მე თავად ვიყავი დეპუტატი, უმრავლესობაშიც ვიყავი და უმცირესობაშიც. დეპუტატისთვის ყველაზე მძიმე დარტყმა ის არის, როცა არაფრის შეცვლა არ შეუძლია. ახლაც ასეა. რამდენიმე დეპუტატი ვერ შეცვლის ამინდს.

დასკვნის სახით კი იმას ვიტყვი, რომ „ქართული ოცნებაც“ „ნაცმოძრაობის“ გზით მიდის და ისიც უფსკრულში აღმოჩნდება. მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე ძალიან ბევრ მომხრეს დაკარგავენ, ასე თუ გააგრძელეს. უკეთესობის იმედს კი ვერ ვხედავ, რადგან თავად ხელისუფლება არ არის მოწადინებული, რაიმე შეცვალოს.

**ლევან ჯავახიშვილი**

**„ქართული ოცნებაც“ „ნაცმოძრაობის“ გზით მიდის და ისიც უფსკრულში აღმოჩნდება. მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე ძალიან ბევრ მომხრეს დაკარგავენ, ასე თუ გააგრძელეს. უკეთესობის იმედს კი ვერ ვხედავ, რადგან თავად ხელისუფლება არ არის მოწადინებული, რაიმე შეცვალოს“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ადეიშვილი გაიქცა, კეზერაშვილი გაიქცა...“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირაკლი სესიაშვილი გიგი უგულავას პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ მორატორიუმი არ ვრცელდება სისხლის სამართლის დანაშაულებზე და ამას გარდა, არსებობდა ინფორმაცია, რომ უგულავას ოჯახი საქართველოს დატოვებას აპირებდა.

„წინასაარჩევნო პროცესში გამგებელმა რომ დაჭრას ვინმე, უნდა ვიმოქმედოთ, თავისთავად ცხადია. ადეიშვილი გაიქცა, კეზერაშვილი გაიქცა, ქარდავები გაიქცნენ, სააკაშვილს კითხვებზე პასუხის გაცემა ეშინია და ვერ ჩამოდის. უგულავა კი აპირებდა საქართველოს დატოვებას, ისე რომ არ გაუფრთხილებია სასამართლო და არც სხვა ორგანოები. არის ინფორმაცია, რომ მისმა მეუღლემაც დატოვა საქართველო. ისეთი ფაქტებია ზედაპირზე, რომ მათი ასე დატოვება შეუძლებელი იქნებოდა“, – განაცხადა სესიაშვილმა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# დაგმარხავ იმ მკვდართან ერთად, რომელიც აქ დაიმარხება!

## ლისის ტბის სკანდალი



ლისის ტბის სკანდალი – „ნუ გადავაქცევთ თბილისს სასაფლაოდ“. აღნიშნული საკითხის გამო, რომელიც უკვე დიდი ხანია, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას აწუხებს, შესაძლოა, საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარეს, ირაკლი შიხიაშვილს სამართალდამცავ ორგანოებთან მოუწიოს პასუხის გაცემა. საქმე ეხება 2013 წლის 29 დეკემბერს სწორედ შიხიაშვილის მიერ ხელმოწერილ გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზეც კერძო კომპანიას ლისის ტბის მიმდებარედ სასაფლაოების გაშენების ნებართვა მიეცა. ვისი ფინანსური ინტერესი დგას სარფიანი ბიზნესის – სასაფლაოს აშენების უკან?

პრობლემები, რომლის წინაშეც დგას მოსახლეობა უკანონო გადაწყვეტილების მიღების შედეგად... რა ბედი ეწევა იქ მცხოვრებ მოსახლეობას, რომლებმაც საკარმიდამო ნაკვეთებში საკმაოდ სოლიდური თანხები გადაიხადეს?

პრობლემის წინაშე დგას საბურთალოს მოსახლეობის წყალმომარაგება, კერძოდ გოგირდის წყლის ჭაბურღილი, რომლითაც მთელი საბურთალო მარაგდება, სასაფლაოს ტერიტორიაზე აღმოჩნდება, რის შემდეგაც მისის გამოყენება, გახრწნილი ცხედრებიდან გამოჟონილი ტოქსინების გამო, შეუძლებელი გახდება.

აქვეა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები და სათბურები, საიდანაც, თბილისის არაერთი სუპერმარკეტი და ბაზარი მარაგდება ხილ-ბოსტნეულით. გარდა ამისა, იქ მდებარეობს „ბავშვთა სოფელი“, სადაც მიუსაფარი ბავშვები ცხოვრობენ და რომელსაც ასევე მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ პრობლემას შეუქმნის რამდენიმე ჰექტარზე გაშენებული სასაფლაოები.

ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებლები უკვე უკვე რამდენი ხანია, საკრებულოს მიერ მიღებული ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ და მისი გაუქმებისთვის იბრძვიან. მათი განცხადებით, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე 11 ჰექტარი ფართობის მიწის ნაკვეთი კომპანია „გრინ დეველოპმენტმა“ წლების წინათ შეიძინა. მოსახლეობა ყვება, რომ კომპანიამ თავდაპირველად ვერ მიიღო შესაბამისი ნებართვა, ხოლო მოგვიანებით, აღმოჩნდა, რომ სასაფლაოს მშენებლობის ნებართვა საკრებულომ გასცა.

„ყველაფერი დარღვევით არის გაცემული, სასაფლაოს მშენებლობას სჭირდება თავისი სტანდარტები, რასაც ეს ტერიტორია არ აკმაყოფილებს. მშვენივრად იციან, რომ სასაფლაო სარფიანი ბიზნესია და სულ არ ანაღვლებთ ჩვენი, მოსახლეობის ბედი. ამ ადამიანებს აქ უზარმაზარი თანხები აქვთ გადახდილი ნაკვეთების შესაძენად. ჩვენ შევიტანეთ საჩივარი, თუმცა კომპანია გვეუბნება, თქვენ არავინ გკითხავთ, მთავრობა ამის ნებართვას გვაძლევსო! შეიძლება რომ ადამიანი სახლიდან გამოხვიდე და პირდაპირ სასაფლაოზე აღმოჩნდე? სწორედ ასე მოხდება. მეზობლები იმუქრებიან – დაგმარხავ იმ მკვდართან ერთად, რომელიც აქ დაიმარხება! ძალიან სერიოზულად არის საქმე...“, – ყვებიან ადგილობრივები.

მათი თქმით, თავდაპირველი უარის შემდეგ, როგორც ჩანს, კომპანიამ მფარველი მონახა საკრებულოს თავმჯდომარის სახით, 2013 წელს კომპანიამ მერიას სასაფლაოების მშენებლობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით მიმართა. თანხმობის შემთხვევაში მერიას საკითხი განსახილველად საკრებულოსთვის უნდა გადაეგზავნა, თუმცა თბილისის მთავრობის არქიტექტურული სამსახურის 2013 წლის 21 ივნისის ბრძანებით „გრინ დეველოპმენტს“ აღნიშნულ ტერიტორიაზე სასაფლაოების მშენებლობაზე უარი ეთქვა.



ქალაქ თბილისის საკრებულო

გადაწყვეტილება № 20-56

29 დეკემბერი 2013 წ.

ქ. თბილისი

„დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქ. თბილისის საკრებულო გადაწყვიტა:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში (საქართველოს რესპუბლიკა, 25.06.2009, №127-128) და [illegible]

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი

მოსახლეობა ეჭვობს, რომ საკრებულოს თავმჯდომარე თავადაც არის ფინანსურად დაინტერესებული: „არ არის გამორიცხული, თავადაც წილში იყო, სასაფლაოს დიდი შემოსავალი აქვს და რა თქმა უნდა, სახლების მშენებლობას ეს ურჩევნიათ“.

აღსანიშნავია, რომ საკითხი საკრებულოს 2013 წლის 29 დეკემბრის სხდომის დღის წესრიგში სულ სხვა ჩანაწერით არის გასული, კერძოდ: „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ „თბილისის საკრებულოს 5 ივნისის №6-15 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

მიუხედავად მოსახლეობის უკმაყოფილებისა და მათი მხრიდან საჩივრის შეტანისა, „გრინ დეველოპმენტი“ უკან დახევას არ აპირებს. მოსახლეობა ელოდება, რა გადაწყვეტილებას მიიღებს თბილისის ახალი საკრებულოს ხელმძღვანელობა და დედაქალაქის მერი, რომელიც მეორე ტურში არჩევნების შედეგად გაიმარჯვებს. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



## „აი, ტანი და აი, ქალი!“ — ვისმა სხეულმა აღაფრთოვანა კესარია აბრამიძე



კესარია აბრამიძე სუროგაციის ცენტრის მსოფლიო ქსელის დამფუძნებელ მარიამ კუკუნაშვილის სხეულით აღფრთოვანებულია და მას მიზანდასახულობის გამო აქებს.

კესარია სოციალურ ქსელში მარიამის ფოტოს აქვეყნებს, სადაც ის საცურაო კოსტიუმშია გამოსახული.

– აი, ტანი და აი, ქალი! ვაღიარებ, მიზანდასახულობაც ამას ჰქვია, ბრავო. მარიამ კუკუნაშვილი საცურაო კოსტიუმში, – წერს კესარია ფოტოს აღწერაში.



ცნობილია, რომ მარიამ კუკუნაშვილი იოგით არის გატაცებული და სხეულის მოვლას დიდ დროს უთმობს. იოგას სავარჯიშოების შესრულების დროს გადაღებულ ფოტოებს კუკუნაშვილი „ფეისბუკის“ პირად გვერდზე აქტიურად აქვეყნებს. იოგათი გატაცებულია ასევე კესარიაც.

***pia.ge***



## რატომ მალავს ნინი წიკლაური შეყვარებულს — „მაპატიეთ“

ნინი წიკლაურმა „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე მეგობრები ახალი ამბით გაახარა. მომღერალმა სოციალურ ქსელში სტატუსი განაახლა და დაწერა, რომ ურთიერთობაშია, თუმცა რჩეული არ მოუნიშნავს. ფაქტია, რომ ნინი შეყვარებულს მალავს, სავარაუდოდ, რომელიმე ტელეშოუს დაჰპირდა ექსკლუზივს.

– შეყვარებული ვარ, მაგრამ ამ ეტაპზე ამაზე ლაპარაკი არ მინდა. მხოლოდ დროებით, თორემ ისე დასამალი არაფერი გვაქვს... ჩემი მეორე ნახევარი არასდროს იქნება მომღერალი. ამით მომღერალ ბიჭებს არ ვაკნინებ, უამრავი მომღერალი ბიჭი მეგობარი მყავს...

***reitingi.ge***

## დავით დეფი: „ამ მახინჯ და უჯიშო, უსამშობლო ნაბიჭვრებს, ვინც ფერადკანიანებზე, ოცდამეერთე საუკუნის თბილისში ასე იქაჩებიან, თქვენი სახეები აქვთ“



– ჩემი სიძე დიდი ბრიტანეთის მოქალაქეა. აარონი ჰქვია. ფერადკანიანია. ცხოვრობს ლონდონში და თბილისში. არტისტია. მოცეკვავე. 28 ივნისს, მარჯანიშვილის თეატრთან, „მაკდონალდსში“ იჯდა. რამდენიმე ქართველი მასთან მივიდა და აგრესიით, ყვირილით, ზიზღით და ათასნაირი შეურაცხყოფით „მაკდონალდსიდან“ გასვლა უბრძანა. მან დახმარება დაცვას სთხოვა. დაცვის რეაქცია – ხითხითი და ზანტი სიარული. „მაკდონალდსში“ მყოფი ადამიანების რეაქცია – „არაფერი მესმის, არაფერს ვხედავ, არავის არაფერს ვეუბნები“.

აარონმა პატრული გამოიძახა. პატრულის მოსვლამდე იმ ჯეელებმა ცოფი ისევ ყარეს „აქ ზანგების ადგილი არაა!“ და ა.შ. და წავიდნენ. პატრულის მოსვლით არც არაფერი შეიცვალა. ოფიცერთა იგივე რეაქციები, როგორც „მაკდონალდსის“ დაცვისა და იქ მყოფი ადამიანების – „ჰო კაი ახლა, ეგეთები ხდება? მაშინ უჩივლე...“ პროფესიონალიზმი, მონდომება, თანაგრძნობა, შეგნება – ნ უ ლ ი.

იგივე მოხდა რამდენიმე დღის წინ, ოღონდ „სმარტში“. სასტუმრო „რადისონთან“. აარონის დანახვაზე ქართველმა ვაჟებმა მისი შეურაცხყოფა დაიწყეს. დაცვის და ხალხის რეაქცია აქაც – ნ უ ლ ი. სანამ ერთი ამერიკელი საქმეში არ ჩაერია და კაცი იქიდან არ გამოიყვანა.

ახლა კი თქვენ მოგმართავთ შს მინისტრო, პრემიერ-მინისტრო, პრეზიდენტო, პარლამენტის თავმჯდომარევ და მოქალაქე ივანიშვილო – ეს თქვენ გააკეთეთ. ჰო, ეს თქვენი გაკეთებულია. ამ უშნო გრუზინებს, ამ მახინჯ და უჯიშო, უსამშობლო ნაბიჭვრებს, ვინც ფერადკანიანებზე, ოცდამეერთე საუკუნის თბილისში ასე იქაჩებიან, მათაც ვინც ასეთ რამეს ხედავენ და არაფერს აკეთებენ, მათაც, ვინც არც თავის მოვალეობას ასრულებენ – თქვენი სახეები აქვთ და თქვენი სახელები ჰქვიათ. ამის უფლებას მათ თქვენ აძლევთ. ამ სისაზიზღრეს თქვენი საკუთარი სიბილწით, ქლესობით, ბოლმით, დაკომპლექსებულობით, უნიათობითა და სრული არარაობით ქმნით. ამ მანიაკებს ღრმად სწამთ რომ არ დაისჯებიან და ამ რწმენასაც თქვენ ულვივებთ. თქვენ სირცხვილი ხართ. მე მრცხვენია თქვენი. ყოველი თქვენგანის მრცხვენია.

ევროპა? რა ევროპა? – წერს დავით დეფი.

***newposts.ge***

## ქეთი დევდარიანი: „ჯერ წავიკითხე და მერე შემაქანა“



„მამაჩემი აივნიდან აგინებდა იაღოველებს, – თქვენ რაღატო გარბიხართ, ხომ უნდა გაფრინდეთო“...

სოციალურ ქსელში განთავსებული პოსტიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ჩემი ცოლის დაქალების“ სვან სცენარისტს რეაქცია რაჭული აქვს. „ჯერ წავიკითხე და მერე შემაქანა“, – წერს მიწისძვრასთან დაკავშირებით ქეთი დევდარიანი და ბავშვობიდან ისტორიებს იხსენებს.

ქეთი დევდარიანი:

– ჩემი ბავშვობა გამახსენდა, მიწისძვრის მერე კორპუსის ქვეშ რომ ვდგებოდით, ზოგი ვაბშე ლიფტით ჩადიოდა, ზოგს თან მოჰქონდა საჭირო და ძვირფასი ნივთები. მამაჩემი კიდევ სახლში რჩებოდა, ან აივნიდან აგინებდა იაღოველებს, – თქვენ რაღატომ გარბიხართ, ხომ უნდა გაფრინდეთო.

***newposts.ge***

## ჩერგოლეიშვილი მთავრობას: რა მაგარი გოიმები ხართ...



ჟურნალ „ტაბულას“ რედაქტორი თამარ ჩერგოლეიშვილი საქართველოს მთავრობას „გოიმებს“ უწოდებს და შეახსენებს, რომ ასოცირების ხელმოწერის ღონისძიებაზე მათი მხრიდან კარგი ჟესტი იქნებოდა იმ პირების მიწვევა, ვინც მოლაპარაკებები დასრულებულ ეტაპამდე მიიყვანა.

– რა მაგარი გოიმები ხართ ისე მთავრობაში, მიგეწვიათ ამ ღონისძიებაზე ორი ან სამი ადამიანი, ვინც მოლაპარაკებები, ფაქტობრივად, დასრულებულ ეტაპზე დაგახვედრათ. „რადარებიდან გამქრალ“ აქტიურ პოლიტიკოსებზე არ ვსაუბრობ, არ აღელდეთ – იმ ხალხს ვგულისხმობ, ვინც 2012 წლის არჩევნების შემდეგ მთავრობიდან აკადემიურ სფეროში გადაინაცვლა. დიდი ალბათობით არ წამოვიდოდნენ, მაგრამ ჟესტად ხომ ჩაგეთვლებოდათ და უკეთესები გამოჩნდებოდით.

არაფერი თქვენგან არ გამოვა, – წერს თამარ ჩერგოლეიშვილი.

***newposts.ge***

## გიგი უგულავას პატიმრობა ემუქრება, მეუღლე საზღვარგარეთ ნანუკასთან ერთად ისვენებს



როგორც ცოტა ხნის წინ გახდა ცნობილი, თბილისის ყოფილ მერ გიგი უგულავას 7-დან 11 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

ასეთ მძიმე დღეებში გიგი უგულავას მეუღლე გვერდით არ უდგას. ლელა კილაძე ევროპაში ნანუკა ჟორჟოლიანთან ერთად ისვენებს.

ნანუკამ ლელასთან ერთად გადაღებული ფოტოები სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა. ნანუკა გასულ კვირას იუბილარი იყო და დაბადების დღე მეუღლესთან – ირაკლი კოდუასთან ერთად გაატარა.

***reitingi.ge***

## გვანცა ბაგრატიონს კინაღამ ქორწილი ჩაეშალა



ცოტა ხნის წინ გვანცა ბაგრატიონზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ თხოვდება. რეპერი ქორწილისთვის ემზადება და პარალელურად თავის ახალ კლიპზეც მუშაობს, რომლის რეჟისორიც თავადვეა. რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში ფოტო გამოაქვეყნა, სადაც სკანდალური გვანცა ახალი იმიჯითაა. სურათზე იმდენად შეცვლილია, რომ ყველას ეგონა, პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა. ბაგრატიონი ამ ფოტოზე ანჯელინა ჯოლის ჰგავს. სურათზე ფონად ჩანს, ბიძინა ივანიშვილთან ერთად გადაღებული ფოტოც.

– რად მინდა მე პლასტიკური ოპერაცია. ცხვირი მაქვს დიდი, თუ რა მქონდა დასაპლასტიკებელი? უბრალოდ გავიზარდე და დავქალდი. თუ გამოხედვაში მატყობენ ცვლილებას, ეს ამის ბრალია. იმიჯს ხშირად ვიცვლი და ვარცხნილობა შევიცვალე. თმა უფრო გავილიავე. არანაირი პლასტიკური არ მაქვს გაკეთებული ბუნებრივი ვარ ყველანაირად...

ქორწილისთვის ვემზადებით, მაგრამ არ ვიცი, როდის გვექნება. რაღაც უთანხმოება გვქონდა. მართალია, შევრიგდით, მაგრამ ჯერ არ ვიცი დაზუსტებით არაფერი. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება.

საქმროს ვინაობას არ გაგიმხელთ. ყველაფერი როცა კარგად იქნება, მაშინ გაიგებთ ვინაა.

***reitingi.ge***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



ლუდის ბარში ერთი მამაკაცი მეორეს უყვება:

– მოკლედ, მივლინებიდან დროზე ადრე დავბრუნდი. როგორც კი სახლში შევედი, ეგრევე კარადას ვეცი, გავაღე – ცარიელია... საწოლის ქვეშ შევიხედე – ცარიელია... მაცივარი გამოვაღე – ცარიელია...

– და ამ დროს ცოლი რას გეუბნებოდა?

– სად მყავს ცოლი, კაცო?! სახლი გაუძარცვავთ!..

*****

მასწავლებელი მოსწავლეებს:

– კოტე, აბა, აუღლე „ხმას ვაძლევ“.

– მე ხმას ვაძლევ, შენ ხმას აძლევ, ის ხმას აძლევს, ჩვენ ხმას ვაძლევთ, თქვენ ხმას აძლევთ.

– კოტე, და „ისინი“?

– ისინი კი სხედან და ფეხებზე ვკიდივართ!..

*****



სამხედრო კათერდის ლექტორი:

– ტანკი დაახლოებით 80 კილომეტრ/საათის სიჩქარეს ავითარებს, რის შემდეგაც მისი დამორჩილება თითქმის შეუძლებელია...

– როგორ თუ შეუძლებელი? – შეშინებული ეკითხება კურსანტი.

– საშიში არაფერია – თქვენ ხომ ტანკში ხართ!..

*****

– დიდი ბოდიში, ბატონო, მაგრამ კაზინოში ვერ შეგიშვებთ – ჰალსტუხი არ გიკეთიათ.

– რა მოხდა მერე?! აი, ეს საერთოდ შიშველია!

– ჰო, მაგრამ ეგ გამოდის...

*****

– რატომ სუქდებიან ცოლიანი მამაკაცები?

– იმიტომ, რომ უცოლო ბრუნდება საღამოს სახლში, შეიხედება მაცივარში, ხედავს, რაც იქ ხვდება და გამწარებული დასაწოლად მიდის... ცოლიანი კი ბრუნდება საღამოს სახლში, შეიხედება საბნის ქვეშ, ხედავს, რაც იქ ხვდება და გამწარებული მიდის მაცივართან!..

*****

ორი მამაკაცი რესტორნიდან გამოვიდა. ერთს იდეა გაუჩნდება:

– მოდი, ქალებში წავიდეთ.

– არა, ძმაო! ცოლი მყავს, ახალგაზრდა, ლამაზი, მომხიბვლელი...

– კაი, გასაგებია! წავედით შენთან!..

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***

# მსოფლიოს ყველაზე ცნობილი... ოროსნები



ცოტა არ იყოს, რთული დასაჯერებელი კია, მაგრამ მსოფლიოს ცნობილ გენიოსებშიც კი ერივნენ ისეთები, რომლებშიც სკოლის მასწავლებლები ყოვლად გამოუსადეგარ და უმაქნის ადამიანებს ხედავდნენ – არ სწავლობდნენ ნორმალურად და იმიტომ.

გავიდა დრო და თითოეულმა მათგანმა არა მხოლოდ საკუთარ მასწავლებლებს, არამედ მთელ პლანეტას დაუმტკიცა, რომ მათ გარეშე ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა კაცობრიობისთვის უცნობი დარჩებოდა.

– **უინსტონ ჩერჩილი** – ბრიტანელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, სამხედრო ჟურნალისტი, მწერალი, ბრიტანეთის აკადემიის საპატიო წევრი, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში... აი, ასეთია უინსტონ ჩერჩილის არასრული მიღწევებისა და წოდებების ჩამონათვალი, თუმცა თავის დროზე მას სკოლაში ერთ-ერთ ყველაზე სუსტ მოსწავლედ მიიჩნევდნენ.

ჩერჩილს იმდენად ცუდად ჰქონია საქმე, რომ ლათინური და ძველი ბერძნული ენების გაკვეთილები შეუწყვიტეს და მშობლიური ენის დამატებითი საათები დაუნიშნეს.



– **ვლადიმერ მაიაკოვსკი** – ავტობიოგრაფიიდანაც ცნობილია, რომ პირველ სამ კლასში ვალოდია სულ ხუთიანებზე სწავლობდა. შემდეგ, როცა ქუთაისი რევოლუციის ქარ-ცეცხლში გაეხვია, თავადაც რევოლუციურ წრეებში მოექცა და სწავლა სულ მიივიწყა. 1906 წელს მაიაკოვსკის ოჯახს დიდი უბედურება დაატყდა თავს – სისხლის მოწამვლისგან მამა გარდაიცვალა. მოგვიანებით იყო საცხოვრებლად მოსკოვში გადასვლა, სადაც მან მე-5 კლასიკურ გიმნაზიაში დაიწყო სწავლა, თუმცა 5 კლასიც კი არ დაუმთავრებია, რომ სკოლიდან გადასახადის გადაუხდელობის გამო გარიცხეს.

– **ონორე დე ბალზაკი** – მწერლის ბიოგრაფიისა და მოგონებების თანახმად, მისი ბავშვობის ყველაზე დიდი პრობლემა დედის მიმართ მისდამი არცთუ თბილი დამოკიდებულება იყო. მას შემდეგ, რაც პატარა ონორე ვანდომის კოლეჯ-ინტერნატში მიაბარეს, მან ციხე-მონასტრის მთელი „ბედნიერება“ შეიცნო. 7 წლის მანძილზე ბალზაკი ორიანებსა და სამიანებს შორის მერყეობდა.



ამის გამო, ბერები მას ცივ საკუჭნაოში კეტავდნენ ხოლმე, სანამ ბავშვის ჯანმრთელობა სერიოზულად არ დაზიანდა. ამის გამო მშობლები იძულებულები გახდნენ, შვილი სახლში დაებრუნებინათ. მოგვიანებით ბალზაკმა კიდევ ორი სკოლა გამოიცვალა, თუმცა განსაკუთრებული მიღწევები არსად ჰქონია.

– **რიჩარდ ბრენსონი** – ცნობილი ბრიტანელი მულტიმილიონერი სერ რიჩარდ ბრენსონი, კორპორაცია „ვირჯინ გრუპისა“ და კერძო კოსმოსური ტურიზმის დამფუძნებელი, სკოლაში სწავლის დროს ორი სიტყვის ერთმანეთზე გადაბმასაც კი ვერ ახერხებდა. იყო ენაბლუ, დაფასთან გაძახების დროს მუდმივად წითლდებოდა. მოგვიანებით



დადგინდა, რომ ბრენსონი იშვიათი ნევროლოგიური დაავადებით იტანჯებოდა, რომელიც მას ნაწერის გარჩევის საშუალებასაც კი არ აძლევდა. საბედნიეროდ, ახალგაზრდობაში მან პრობლემა დაძლია და დღეს უკვე მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების რეიტინგის მუდმივი მონაწილეა.

– **თომას ედისონი** – მსოფლიოში ცნობილი ამერიკელი გამომგონებელი 7 წლის ასაკში ოჰაიოს შტატის ქალაქ მაილანის ერთადერთ სკოლას მიაბარეს, რომლის ხელმძღვანელი ბავშვებს საკმაოდ უცნაური მეთოდით ასწავლიდა: მოსწავლეებს აიძულებდა, საკმაოდ დიდი ტექსტების დაზეპირებას. სულ მცირე შეცდომისთვის და ისე, უბრალო „პროფილაქტიკისთვის“, პედაგოგი ბავშვებს თითებში სახაზავს უმოწყალოდ ურტყამდა. სწავლის პირველი თვის შემდეგ, თომას ედისონი ნამდვილი ოროსანი იყო. სამი თვის შემდეგ კი ის სახლში ცრემლიანი თვალებით მივიდა და მშობლებს შესტირა: „მისტერ ინგლმა დებილი მიწოდა და სკოლაში დაგიბარათო“. როგორც კი მისის ედისონმა მისტერ ინგლის კარის ზღურბლს გადააბიჯა, იგი უხეში ტექსტით შეეგება: „თქვენს შვილს სწავლის სულ მცირე უნარიც არ აქვს გონებრივი ჩამორჩენილობის გამო. სჯობს, ის სახლში წაიყვანოთ“. რაღა უნდა ექნა მომავალი გამომგონებლის დედას და რჩევა გაითვალისწინა კიდეც. ამის შემდეგ ედისონს აღარც ერთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში აღარ უცდია ბედი. ყველაფერი დედამისმა ასწავლა, თუმცა ნორმალურად წერა მან სიცოცხლის ბოლომდე მაინც ვერაფრით შეძლო. საბოლოო ჯამში, „დებილისგან“ მილიონერი და მსოფლიოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამომგონებელი დადგა.





– **ლევ ტოლსტოი** – ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მწერლის დედა იმ დროს გარდაიცვალა, როცა ის 2 წლის იყო. 9 წლისამ კი უკვე მამაც დაკარგა. მთელი ამ ხნის მანძილზე, და-ძმებთან ერთად, ხან ერთ ნათესავთან ცხოვრობდა, ხან მეორესთან, რომლებიც ობლებს იმაზე მეტის უფლებას აძლევდნენ, ვიდრე საჭირო იყო. ამის გამო, განათლებას ბავშვები 16 წლამდე მხოლოდ სახლის პირობებში იღებდნენ. საბოლოო ჯამში, ობლები მორიგ ნათესავთან ყაზანში გადავიდნენ საცხოვრებლად, სადაც ლევ ტოლსტოი, ძმებთან ერთად, საიმპერატორო უნივერსიტეტში ჩაირიცხნენ. მწერალი პირველ კურსზე ჩატოვეს, მეორეზე გადასვლის შემდეგ კი ის ცნობილი გახდა, როგორც ვოდევილური დადგმების უბადლო ოსტატი, რამაც უნივერსიტეტში პრობლემები კიდევ უფრო გააღრმავა. მესამე კურსამდე საქმე აღარ მისულა – ლევ ტოლსტოი მშობლიურ მხარეს დაუბრუნდა, სადაც საკუთარ თავზე მუშაობას მიჰყო ხელი. საბოლოო ჯამში, მას ფორმალური დიპლომიც კი არ ჰქონია.

***topnews.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## 4 წლის ბავშვს ხმაურიანი თამაშის გამო... პოლიციაში უჩივლეს



ან თავად არ იყვნენ ბავშვები, ან შვილიშვილი არ ჰყავთ ამ კეთილშობილ... უი, კეთილშობილ კი არა, ამ უაზრო ადამიანებს?! აბა, შეიძლება, 4 წლის ბავშვს პოლიციაში უჩივლო, მით უმეტეს, ხმაურიანი თამაშის გამო?!

მაგრამ რას ვიზამთ, ასეთი რამეებიც ხდება ბრიტანეთში და არა მხოლოდ ბრიტანეთში.

როგორც ირკვევა, 4 წლის ალფ ლანსდელის მეზობლებმა ბავშვს ის ვერ აპატიეს, რომ იგი საკუთარი ეზოს ბაღში „ზედმეტად ხმაურიანად თამაშობდა“ და მაშინვე პოლიციას მიმართეს.

ადგილზე მისულ სამართალდამცველებს, საბედნიეროდ, ეყოთ გამჭრიახობა და პატარა არ დააპატიმრეს, თუმცა მისი მშობლები გააფრთხილეს, რომ, თუკი მეზობლები ისევ იჩივლებენ, 5 ათასი ფუნტი სტერლინგით დაჯარიმდებიან.

***gazeta.ua***

## მეცნიერებმა საშიში პროფესიების ახალი რეიტინგით ყველა გააკვირვეს



ის, რომ მეხანძრეებისა და მეტალურგების სამუშაო ძალიან საშიშია, კარგად ვიცით და დიდი ფიცი-მტკიცი ამას არ სჭირდება. მაგრამ საშიში პროფესიების ნუსხაში ისეთებისთვისაც გამოიძებნა ადგილი, რომლებიც ჩვეულებრივ, საშიშად არ ითვლებოდა.

ამერიკელი მეცნიერების თქმით, სერიოზული საფრთხის წინაშე დგანან არა მხოლოდ დიდი საწარმოების თანამშრომლები და სტიქიებთან მებრძოლი ადამიანები, არამედ ფერმერები და პარიკმახერებიც კი.

მაინც, რა არის საშიში იმაში, რომ ადამიანმა ძროხას მოუაროს ან კლიენტს თმები შეჭრას?

საქმე ისაა, რომ ყველა ჩამოთვლილი პროფესიის მქონე ადამიანს კანცეროგენულ ნივთიერებებთან აქვს საქმე.

ამდენად, სანამ შვილს პარიკმახერის კურსებზე გაუშვებდეთ, ამერიკელები გირჩევენ, ეს საკითხი სათანადოდ აწონ-დაწონოთ.

***uralweb.ru***

## ტუალეტში სადილობა გაცილებით უსაფრთხოა, ვიდრე... კომპიუტერთან



ზოგადად, ცნობილი ამბავია, რომ კომპიუტერი, უფრო სწორედ კი კლავიატურა, ერთ-ერთი ყველაზე ბინძური საყოფაცხოვრებო ტექნიკაა, მაგრამ მთლად ასე რთულად თუ იყო საქმე, ნამდვილად არ გვეგონა.

ამერიკელი მეცნიერების მტკიცებით, კომპიუტერის კლავიატურაზე გაცილებით მეტი მავნე მიკროორგანიზმი ბინადრობს, ვიდრე უნიტაზის დასაჯდომზე და ზოგადად, ტუალეტში.

სიტუაციას კი ყველაზე მეტად ის ამძიმებს, რომ სულ უფრო ბევრი ახალგაზრდა დაეჩვია კომპიუტერთან ჭამას.

ექსპერტების მონაცემებით, ამერიკის მოსახლეობის 83 პროცენტი ჭამს კომპიუტერის ეკრანთან, რადგან ინტერნეტში ძრომიალს უბრალოდ, ვერ ეშვება. სამაგიეროდ, არ ფიქრობს იმაზე, რამდენად დიდ საფრთხეს უქმნის კუჭ-ნაწლავს და ზოგადად, საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას.

გამოკითხვის დახმარებით ისიც გახდა ცნობილი, რომ კომპიუტერის მომხმარებელთა მხოლოდ 36 პროცენტი ასუფთავებს მაგიდას და წმენდს კლავიატურას სპეციალური საშუალებებით.

კვლევის ავტორების თქმით, სამუშაო მაგიდაზე 400-ჯერ მეტი მიკრობი ბინადრობს, ვიდრე უნიტაზის დასაჯდომზე.

ჰოდა, გამოდის, რომ ტუალეტში სადილობა გაცილებით უსაფრთხოა, ვიდრე კომპიუტერთან.

***novoteka.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მტაცებელი თევზი
2. ყვავის ბარტყი
3. ლაშქარი
4. ფრინველი სამხ. პოლუსზე
5. ფიზიკოსი მაიკლ ...
6. რუმინეთის დედაქალაქი
7. ნუშის ლიქიორი
8. მილოშ ფორმანის ფილმი მოცარტზე
9. ბურღულეული
10. ფეხბურთელი ... ანრი
11. ქალაქი კრასნოდარის მხარეში
12. მსახიობი ... პაჩინო
13. რუსი მხატვარი
14. ბიზეს ოპერა
15. სუსტი სპირტიანი სასმელი
16. მღვდლის სამოსის დეტალი
17. მეზღვაურის დამხმარე ბიჭი
18. ძვირფას ქვაზე ჭრის ტექნიკა
19. რაიმეს შესანახი ჭურჭელი
20. ვაჟიშვილი
21. ცხიმის გამოსახდელი ხელსაწყო
22. საძეძრწნ მასალა ...-მაშე
23. მუზების მფარველი ღმერთი
24. ტურგენევის მოთხრობა
25. ტილ ულენშპიგელი და ... გუძაკი
26. სოფოკლეს ტრაგედია
27. კუნძული აფრიკასთან
28. მსახიობი ანდრეი ...
29. ... თათქარიძე
30. შენობა საწნახ-ლით
31. ქალაქი რუსეთში
32. მომღერალი სელინ ...
33. ნაყოფის ნაჭუჭიანი გული
34. სამფერა ნიშანი გზაზე
35. პაკისტანის დედაქალაქი
36. ყირგიზეთის დედაქალაქი
37. შიდა სამოსი ფიგურის კორექციისათვის
38. ცხენებშებმული ეტლი
39. სირიის დედაქალაქი
40. თევზის ჯიში
41. აზრი, შინაარსი
42. მეტამორფოზის ბოლო სტადია
43. ყაჩაღი (მოძვ.)
44. უდაბნოს „ხომალდი“
45. ერთ-ერთი თითი
46. ისტორიული ქალაქი ინდოეთში
47. ფრედი მერკურის ანსამბლი
48. მხატვარი ... ფირცხალავა
49. ალფაბეტი
50. „ქეთო და კოტე“ კოტეს როლში ბათუ ...
51. ონორე დე ბალზაკის მოთხრობა
52. მდინარე აფრიკაში
53. მსახიობი დოლფ ...
54. მითი ოქროს საწმისის შესახებ
55. მსახიობი ჯეიმს ...
56. ბრტყელი თევზი
57. ტენორი ... ლანცა
58. ბგერის გრაფიკ. გამოსახ.
59. ქართ. საესტრადო ანსამბლი
60. მსახიობი ... ფერტი
61. პოეტი ... პეტეფი
62. მდინარე ვოლგის დელტაში
63. მტაცებელი ფრინველი
64. „მდიდრებიც ტირიან“ პერსონაჟი
65. ჩარხი
66. მომყოლი (ანატ.)
67. ებრაული სალოცავი ტაძარი
68. ბიბლიური მოსეს ძმა
69. „მაგდანას ლურჯა“ ავტორი
70. გემი, აბუ ...
71. მოსაწევად დახვეული თამბაქო
72. ქალაქი საბერძნეთში
73. შტატი აშშ-ში
74. ხელოვნური ნაწნავი
75. ვაშლი, მსხალი, ატამი
76. ძაღლის ჯიში
77. ორგანული ნივთიერება
78. ადამის მეუღლე
79. მზის ამოსვლა
80. ბერძ. ანბანის ბოლო ასო
81. ბერის ოთახი
82. ინდუიზმის ღვთაება
83. მშენებ-ლის სამ-კუთხა სახა-ზავი
84. მხ/ფ „... გადაფრენა“
85. ბელორუსიის დედაქალაქი
86. მოტეხილობის დასაფიქსირებელი
87. საფარიკაო იარაღი
88. კუნძული ეგეოსის ზღვაში
89. მსახიობი სილვესტერ ...
90. მომღერალი ... ბრეგვაძე
91. სოფელი სურამთან
92. მსახიობი ... კალვინი
93. განგაშის ხმა
94. ვირას საპირისპირო ბრძანება
95. მდინარე იტალიაში
96. მომღერალი ფილიპ ...
97. მსახიობი არკადი ...
98. ... მურომეცი
99. ფიზიკოსი ალბერტ ...
100. მსახიობი კიანუ ...
101. მოსამართლის მოსასხამი
102. მსახიობი ...
103. მწვანე ადგილი უდაბნოში
104. შვედური ფულის ერთეული
105. სალოცავი ქვა მექაში
106. პროვინცია კანადაში
107. ქალაქი ავსტრალიაში
108. ჭკუის დამრიგებელი
109. პოეტი ... აბაშიძე
110. მსახ. დუეინ ... ჯონსონი
111. პრეზიდენტი ... ობამა
112. ქვის სამარხი
113. მხატვარი სალვადორ ...
114. მომღერალი ... სუმაკი
115. თვითნასწავლი მხატვრობა
116. ახალი წელი გურიაში
117. მუსიკოსი ... გილელსი
118. მხ/ფ „... ქალაქში“
119. კომპოზიტორი ... მურადელი
120. მსახიობი ... რურკი
121. სამატომიანი ჟანგბადი
122. მამაკაცისადმი ზრდილობიანი მიმარ-თვა თურქეთში
123. ბირმის დღევანდ. სახელწ.
124. მხატვარი კამილ ...
125. ყუთი საქონლის საკვებისათვის
126. ქურციკი
127. მხ/ფ „... ბროკოვიჩი“
128. ყანწის მასალა
129. ცხვრის ჯიში
130. ქალაქი კვიპროსში
131. ... ჩიბურდანიძე
132. ხერხემლის ნაწილი
133. ბირმის ფულის ერთეული
134. ... ცეცხლს მუა
135. ქალაქი სომხეთში
136. მდინარე დას. საქართ.
137. გამის ნოტი
138. ... გათეთრდების ყორანი
139. დედამიწის გუმბათი
140. ფრინველის სამყვედევი
141. ბრედ პიტი ფილმში

პასუხები: 1. ბარაკუდა; 2. ბახალა; 3. სპა; 4. პინგვინი; 5. ფარადეი; 6. ბუქარესტი; 7. ამარეტო; 8. „ამადეუსი“; 9. მაკარონი; 10. ტიერი; 11. ანაპა; 12. ალ; 14. „კარმენი“; 15. აპერიტივი; 16. ოლარი; 17. იუნგა; 18. ინტალიო; 19. კონტეინერი; 20. ძე; 21. სეპარატორი; 22. პაპიე; 23. აპოლონი; 24. „მუმუ“; 25. ლამე; 26. „ანტიგონე“; 27. მადაგასკარი; 28. მირონოვი; 29. ლუარსაბ; 30. მარანი; 31. რიაზანი; 32. დიონი; 33. კურკა; 34. შუქნიშანი; 35. ისლამაბადი; 36. ბიშკეკი; 37. კორსეტი; 38. კონკა; 39. დამასკო; 40. სტავრიდა; 41. არსი; 42. იმაგო; 43. აბრაგი; 44. აქლემი; 45. ნეკი; 46. გოა; 47. „ქვინი“; 48. გიგლა; 49. ანბანი; 50. კრავეიშვილი; 51. „გობსეკი“; 52. ნილოსი; 53. ლუნდგრენი; 54. არგონავტები; 55. კაანი; 56. კამბალა; 57. მარიო; 58. ასო; 59. „ორერა“; 60. კოლინ; 61. შანდორ; 62. ასტრახანი; 63. არწივი; 64. მარიანა; 65. ჯარა; 66. პლაცენტა; 67. სინაგოგა; 68. აარონი; 69. გაბაშვილი; 70. ხომალდი; 71. სიგარა; 73. არიზონა; 74. შინიონი; 75. ხილი; 76. სეტერი; 77. ანილინი; 78. ევა; 79. ალიონი; 80. ომეგა; 81. სენაკი; 82. შივა; 83. გონიო; 84. ბელურების; 85. მინსკი; 86. არტაშანი; 87. რაპირა; 88. კრეტა; 89. სტალონე; 90. ნანი; 91. იტრია; 92. მაკოლეი; 93. სირენა; 94. მაინა; 95. პო; 96. კირკოროვი; 97. რაიკინი; 98. ილია; 99. აინშტაინი; 100. კიანუ; 101. მანტია; 102. ანი; 103. ოაზისი; 104. კრონი; 105. ქააბა; 106. კვებეკი; 107. ადელაიდა; 108. მენტორი; 109. ირაკლი; 110. როკ; 111. ბარაკ; 112. აკლდამა; 113. დალი; 114. იმა; 113. ნაივი; 116. კალანდა; 117. ემილ; 118. ორნი; 119. ვანო; 120. მიკი; 121. ოზონი; 122. ეფენდი; 123. მიანმა; 124. კორო; 125. ბაგა; 126. ნიამორი; 127. ერინ; 128. რქა; 129. მერინოსი; 130. ლარნაკა; 131. მაია; 132. მენჯი; 133. ჯა; 134. ორ; 135. სპიტაკი; 136. კოდორი; 137. სი; 138. არ; 139. ცა; 140. გალია; 141. „ტროა“. იკითხება: კოდალა.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## გარდაიცვალა გივი ბარდღას ძე ჭკადუა

აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, „ღირსების მედლის“ კავალერი, 42 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

**მისამართი:** დიდი დიღომი, გიორგი ბრწყინვალეს №41, მე-5 სადარბაზო, მე-8 სართული;
**პანაშვიდი:** 1, 2 ივლისს;
**გამოსვენება:** 3 ივლისს, 14 საათზე. მისამართი: დიდი დიღმის 13 წმინდა ასურელი მამის სახელობის ეკლესიიდან („გუდვილის“ მიმდებარე ტერიტორია).

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## კანადელმა ქალმა ცხენს... იოგა შეაყვარა



საინტერესოა, კულინარია რომ ყოფილიყო ლინდა გუანტის საყვარელი საქმიანობა, მაშინ რაღა ეშველებოდა, ვითომ, ცხენს სტაფილოს დაჭრასა და ჭარხლის გახეხვასაც ასწავლიდა?

როგორც ირკვევა, 35 წლის კანადელმა დიასახლისმა ლინდა გუანტიმ თავის საყვარელ 17 წლის არაბულ ულაყს იოგა შეასწავლა.

თავად ლინდა გუანტიმ იოგას ხელი 2007 წელს მიჰყო, რათა მტკივანი წელი მოერჩინა. ჩვეულებრივ, იგი ვარჯიშებს ცხენის თანდასწრებით ასრულებდა, რათა საყვარელ ცხოველს ერთი წამითაც არ მოშორებოდა.

პატრონის შემხედვარე ცხენმა მისი ვარჯიშების გამეორება დაიწყო და დღეს უკვე ისეთ რთულ პოზებს იღებს, სხვა ნებისმიერ ცხოველს რომ ძალიან გაუჭირდება და მათ გამეორებას ვერც კი შეძლებს.

– მას ძალიან მოსწონს იოგას ვარჯიშები და მეც ბედნიერი ვარ, რომ პარტნიორი გამომიჩნდა, – ამბობს კანადელი დიასახლისი.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინ კანადელმა მოზარდმა იმდენი ავარჯიშა საყვარელი ძროხა, რომ დღეს უკვე მას ცხენივით აჯირითებს.

როგორც ჩანს, კანადელებს ცხოველებთან ურთიერთობის სხვებისთვის უცნობი საიდუმლო აქვს ამოხსნილი.

*etotupo.ru*

## გასუქების მიზეზი შესაძლოა, ანტიბიოტიკების ბოროტად გამოყენებაც გახდეს



ანტიბიოტიკების დიდი რაოდენობით გამოყენებას, შესაძლოა მოჰყვეს არა მხოლოდ „სუპერბაქტერიის“ გაჩენა, რომელიც ნებისმიერ პრეპარატს ამარცხებს, არამედ კუჭის მიკროფლორის განადგურებაც და ბავშვებში ზედმეტი წონის დაგროვებაც.

მარტინ ბლეიზერი ნიუ-იორკის უნივერსიტეტიდან მიიჩნევს, რომ ანტიბიოტიკების მუდმივი გამოყენება საბავშვო ინფექციების დასამარცხებლად ძალიან ცუდ უკუჩვენებას იძლევა, რომელიც პატარებს დააზარალებს.

ბლეიზერის თქმით, სწორედ ანტიბიოტიკი გახდა იმის მიზეზი, რომ პრაქტიკულად, აღარც ერთი ადამიანის კუჭში აღარ ბინადრობს ბაქტერია „ჰელიცობაქტერ პულორი“, რომელიც XX საუკუნის დასაწყისამდე პრაქტიკულად, ყველა ადამიანის კუჭში მოიძებნებოდა და არაერთ სასარგებლო ფუნქციას ასრულებდა. მათ შორის, წონის კონტროლზეც იყო პასუხისმგებელი. დღეისთვის აღნიშნული ბაქტერია დედამიწის მოსახლეობის მხოლოდ 6 პროცენტსღა აქვს შემორჩენილი.

*mydieta.ucoz.com*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**1 ივლისი:** თუ დღეს რამე იდეის განხორციელებას მოისურვებთ, შუა გზაში არ მიატოვოთ. ეს იდეა იმდენად კარგია, დასანანი იქნება, თქვენი დოყლაპიობის გამო, სხვამ რომ განახორციელოს.

**კურო 22.04-21.05**
**1 ივლისი:** შთაბეჭდილება შეგექმნებათ, რომ გარშემო ყველა გაგიჟდა. რომელიმე ადამიანის ქმედების წინასწარ განსაზღვრა გაგიჭირდებათ. უმჯობესია, სიტუაციას გაერიდოთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**1 ივლისი:** იმდენად დატვირთული იქნებით გრძნობებით, აზრებითა და იდეებით, რომ მათ გადმოსაცემად სიტყვები არ გეყოფათ. არა უშავს, ილაპარაკეთ, გაგიგებენ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**1 ივლისი:** უჩვეულოდ მხიარული განწყობა დაგეუფლებათ. ამისთვის გარშემომყოფნი წინასწარ შეამზადეთ, რათა ვინმემ არ იფიქროს, რომ გაგიჟდით.

**ლომი 23.07-22.08**
**1 ივლისი:** სასურველია, ხალხმრავალი და მხიარული ადგილი მოინახულოთ. თუ მარტოობაში დარჩებით, საკუთარ თავს დაუვიწყარ გართობას მოაკლებთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**1 ივლისი:** დღეს ყველაფერი ისე იქნება, თქვენ რომ გინდოდათ, შეიძლება ბევრად უკეთესადაც. მოსალოცად გაქვთ საქმე.

**სასწორი 23.09-22.10**
**1 ივლისი:** შეიძლება არა მხოლოდ საკუთარ სულიერებას, არამედ ჯანმრთელობასაც ზიანი მიაყენოთ. ფრთხილად იყავით, საკუთარი თავის მეტს ვერავის უსაყვედურებთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**1 ივლისი:** დღეს შეიძლება არაერთი სიურპრიზის მომსწრე გახდეთ. მათთვის წინასწარ შემზადებას აზრი არ აქვს.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**1 ივლისი:** ძირითადი საყრდენი, რომელზეც მთელი დღე იქნება აგებული, ძლიერი მეგობრობაა. როგორც კი პრობლემა წარმოიშობა, მაშინვე მიმართეთ მეგობრებს და ყველაფერი წუთებში მოგვარდება.

**თხის რქა 22.12-19.01**
**1 ივლისი:** იღბალი თქვენს მხარეს იქნება, მაგრამ არ დაელოდოთ, სანამ ყველაფერს ლანგარზე მოგართმევენ, თქვენც უნდა იმოქმედოთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**1 ივლისი:** დღეს თქვენგან დათმობას მოითხოვენ, თანაც ისეთი ფორმით, თითქოს სერიოზული ვალი გაქვთ. დათმობთ თუ არა, თქვენი გადასაწყვეტია.

**თევზები 19.02-20.03**
**1 ივლისი:** დღეს იღბლიანი იქნებით, თუკი თქვენი ფანტაზია სათანადო დონეზე იქნება. ნებისმიერი მოვლენის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირება შეიძლება და არც თქვენ გიშლით ვინმე ხელს, რომ მოვლენა თქვენებურად აღიქვათ.

## სწავლულებმა განმარტეს, რა შედეგი მოსდევს აგრესიულ ვიდეოთამაშებს



– ძალადობის შინაარსის მქონე ვიდეოთამაში უკიდურესად ნეგატიურ გავლენას ახდენს მოზარდზე სქესის მიუხედავად და მასში წარმოუდგენელ აგრესიას აღვიძებს, – ასეთი დასკვნა იაპონელმა და ამერიკელმა მეცნიერებმა გამოიტანეს, რომლებიც იმასაც ამბობენ, რომ მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს, რა დროს უთმობენ პატარები ვიდეოთამაშებს, რადგან მათი ფსიქიკა ნებისმიერ შემთხვევაში ზარალდება.

აიოვას (აშშ) და ოჩანომიზუს (იაპონია) ფსიქოლოგიური უნივერსიტეტების სწავლულთა განმარტებით, ძალადობის ელემენტების შემცველი თამაში ბავშვში აყალიბებს აგრესიულ ხასიათს და მათში თანაგრძნობას საერთოდ კლავს.

საინტერესოა, რომ აღნიშნული დასკვნა მეცნიერებმა 130 ათას მოზარდზე ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიტანეს.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მშობლებმა აუცილებლად ძალიან დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ იმ ფაქტს, რა სახის ვიდეოთამაშებით ერთობიან მათი შვილები, რათა მომავალში ნეგატიური შედეგების თავიდან აცილება შეძლონ.

*dr20.ru*

## ადრე ადგომა სასიკვდილოდ სახიფათოა?



ადრე ამდგარ კურდღელს მწევარი ვერ დაეწევა, მაგრამ რაც შეეხება დილაადრიანად წამომხტარ ადამიანს, აი, მას უკვე შეიძლება, სერიოზული პრობლემები შეექმნას.

ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასე ამბობენ იაპონელი მეცნიერები და განმარტავენ, რომ იმ ადამიანებში, რომლებიც ადრიანად იღვიძებენ, გულსისხლძარღვთა დაავადებების გაჩენის რისკი მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე იმათში, ვინც საწოლიდან მაშინ დგება, როცა თავად მოისურვებს.

სპეციალისტებმა რამდენიმე კვლევა ჩაატარეს, რომლის შედეგებმაც აჩვენა, რომ ადამიანის გაღვიძება-გამოფხიზლება და გულ-სისხლძარღვთა მდგომარეობა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ვინც ძილს ვერ ასრულებს, იგი ჰიპერტონიისკენ და ინფარქტისკენაა მიდრეკილი.

– ქრონიკული გამოუძინებლობა უკიდურესად ნეგატიურ გავლენასა და ზეწოლას ახდენს გულის მდგომარეობაზე. გულთან ხუმრობა კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, – განმარტავენ იაპონელი მეცნიერები, რომელთა რჩევის გათვალისწინება პრინციპში, ალბათ, ძალიან ბევრს კი ენდომება, მაგრამ აბა, სამსახურში დაგვიანება რომ არ გამოვა?..

*myjane.ru*

მოამზადა მიხეილ სახვაძემ



ლომმა კურდღელი ტყის ინსპექტორად დანიშნა.
მეორე დღესვე კურდღელი მელას აუშარდა:
– ვისი ქურქი გაქვს?
– ჩემი...
– აჩმახებ! უეჭველი მოპარული გაქვს! – დაუყვირა და თავი ციხეში უკრა.
რამდენიმე დღეში კურდღელმა საკანში იხვიც შეაგდო. მელაკუდა დაინტერესდა:
– შენ რაღაზე?
– ტვინი გამიღუნა, საიდან შოულობ ამდენ ფულს, ყოველწლიურად სამხრეთისკენ რომ მიფრინავო!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია »211359457 კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე
რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ზანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.30